



# ბორჯომის მუნიციპალიტეტი

---



ქალაქ ბორჯომის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის  
ტექსტური ნაწილი

დამკვეთი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი
შემსრულებელი	მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია
დირექტორი/პროექტის მენეჯერი	დავით გიორგაძე
პროექტის მთავარი არქიტექტორი	კონსტანტინე
ამირეჯიბი პროექტის ავტორები	კონსტანტინე
ამირეჯიბი	ვლადიმერ ვარდოსანიძე თამარ ხოშტარია
კონსულტანტი	ლევან ასათიანი
პროგრამული უზრუნველყოფა	გიორგი ლემონჯავა ნათია პეტრიაშვილი
კომპიუტერული კარტოგრაფია	თინათინ
ჯანელიძე გრაფიკული დიზაინი	ალექსი
კახნიაშვილი	
ტექნიკური რედაქტორი	ნინო ილაშვილი

შეტანილია არაარსებითი ცვლილებები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2019 წელი

## 1. ბუნებრივ-კლიმატური პირობები

ქ. ბორჯომი გაშენებულია ბორჯომის ხეობაში, მდინარეების მტკვრისა და მისი მარჯვენა შენაკადების – ბორჯომულასა და გუჯარეთისწყლის ნაპირებზე, მესხეთის ქედის აღმოსავლეთის და თრიალეთის ქედის დასავლეთი, წიწვიანი ტყით დაფარულ კალთებზე. ქ. ბორჯომის სიმაღლე ზღვის დონიდან მოქცეულია 800–900 მეტრის დია- პაზონში; ჰავა ზომიერად ნოტიოა, ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული კი ხანგრძლივი და თბილია. საშუალო წლიური ტემპერატურა აღწევს 8,3 ჩ ; იანვრისა: -2,8 ჩ; ივლი- სის 19 ჩ. რეგისტრირებული აბსოლუტური ტემპერატურული მინიმუმი შეადგენს -29 ჩ, ხოლო მაქსიმუმი 37 ჩ. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა – 653 მმ; მათი მაქსი- მუმი მოდის მაისსა და ივნისში, მინიმუმი კი დეკემბერში. მზის ნათების ხანგრძლივობა 1850–1900 საათი წელიწადში.

*ბორჯომის* კლიმატი იმყოფება *დასავლეთ საქართველოს* ნოტიო კლიმატის გავლენის ქვეშ; ამიტომაც, აქ სინოტივე მეტია, ვიდრე *აღმოსავლეთ საქართველოს* სხვა ქალა- ქებში. ჰაერის საშუალო წლიური ფარდობითი ტენიანობა შეადგენს 78–80%; ზამთარში ის იზრდება, ხოლო ზაფხულში კლებულობს.

თოვლი იცის ოქტომბრიდან აპრილამდე. თოვლის საფარი, ჩვეულებრივ, მიწას ფარავს ნოემბრის მეორე ნახევარში, მაგრამ ის არასტაბილურია. დეკემბრის მეორე ნახევრიდან მარტის შუა პერიოდამდე თოვლის საფარი სტაბილურია; მისი სისქე ხშირად (30% შემთხვევაში) აღწევს 20–50 სმ.

ქ. *ბორჯომის* რთული ოროგრაფიული პირობების გამო, ქართა მიმართულება და სიძლიერე ქალაქის სხვადასხვა უბნებში, მნიშვნელოვნად განსხვავდება. მდ. *მტკვრის ხეობაში* ზამთარში გაბატონებულია დასავლეთის რუმბების ქარები – ხეობის დად- მა, მდინარის დინების მიმართულებით. ზაფხულობით, დილით და საღამოთი ქარები ნაკლებადაა, ნაშუადღევს კი – ივნისიდან ოქტომბრამდე – გაბატონებულია ზომიერი, აღმოსავლეთის რუმბების ქარები (მდინარის დინების საწინააღმდეგოდ). დ. *ბორჯომუ- ლას ხეობაში*, მინერალური წყლების პარკის ტერიტორიაზე, ზამთარში უბერავს ჩრდი- ლო–დასავლეთის, ხოლო ზაფხულში – სამხრეთ-დასავლეთის ქარები.

ქ. *ბორჯომის* მეტად რთული რელიეფი განსაზღვრავს მის მიკროკლიმატურ თავი- სებურებებსაც. კურორტის ტერიტორია იყოფა სამ მეზოკლიმატურ რაიონად:

1. მდ. *მტკვრის* მარცხენა სანაპირო;
2. მდ. *მტკვრის* მარჯვენა სანაპირო;
3. *ბორჯომის* და *სადგერის* პლატოები.

ამათგან პირველი მეზოკლიმატური რაიონი ისაზღვრება მდ. *მტკვრის* კალაპოტით და *შავი სერის ქედის* ფერდობით 800–850 მ. სიმაღლეზე; ის გაჭიმულია სოფ. *ლიკანიდან* მდ. *ჩარხისწყლამდე* (გუჯარულა). ქ. *ბორჯომის* პირობებში,

სამოსახლოდ ეს საუკეთესო უბანია – მისი ექსპოზიციის, სიმშრალისა და მზიანობის თვალსაზრისით. თავის მხრივ, ეს მეზოკლიმატური რაიონი იყოფა შემდეგ მიკროკლიმატურ უბნებად:

**ლიკანი**, რომლისთვისაც დამახასიათებელია მზის ნათების შედარებით დიდი ხანგრძლივობა, ნაკლები ტენიანობა და მაღალი ტემპერატურული რეჟიმი; **გოგიასციხისა** და ყოფილი სანატორიუმ „მთის ხეობისა“ ტერიტორია. პირველ

მიკროკლიმატურ უბანთან შედარებით ხასიათდება მეტი სინოტივითა და სუსტი ქარებით;

**ბაზრის უბანი** – შედარებით მომეტებული სინოტივითა და ნაკლები ხანგრძლივობის მზიანი პერიოდით;

**ახალშენის მიკრორაიონი** – იგივე მახასიათებლებით.

მეორე მიკროკლიმატური რაიონი მდებარეობს მდ. **მტკვრის** მარჯვენა სანაპირო- ზე, **ფაფას** უბნიდან მდ. **ჩარხისწყლამდე**. პირველთან შედარებით, ის გამოირჩევა მეტი სინოტივითა და დაბალი ტემპერატურებით, განსაკუთრებით, ზამთარში; აგრეთვე მზის ნათების ნაკლები ხანგრძლივობით. მდინარეების **ბორჯომულასა** და **გუჯარეთისწყლის** ხეობებში ქარი უფრო სუსტია, ვიდრე მდ. **მტკვრის** გაყოლებით. ამ რაიონში გამოიყოფა შემდეგი მიკროკლიმატური უბნები:

**მინერალური წყლების პარკი**, სადაც ტენიანობა საშუალოდ 5%-თ მეტია, ვიდრე სხვა უბნებში, ტემპერატურა კი უფრო დაბალი. პარკში მზე თითქმის არ იხედება; ქარიანობა ნაკლებია;

**მ. კოსტავას სახელობის** (ყოფილი „**რიომერტის**“) **პარკი** და **ჩარხისწყლის** მიკროკლიმატური უბანი გამოირჩევა მეტი სიმშრალით; მზის ნათების მეტი ხანგრძლივობით, ზომიერი ქარიანობით;

„**ახალი უბანი**“ (**ფაფა**) გამოირჩევა ზამთრის დაბალი ტემპერატურებით, მომეტებული სინოტივითა და მზის ნათების ნაკლები ხანგრძლივობით;

„**პეტრეს სერის**“ ჩრდილოეთის დაბოლოება (**გურამიშვილის ქუჩა**) – უფრო

შემადლებულია და საკმაოდ გახსნილი; მიკროკლიმატური პირობებით უახლოვდება მდ. **მტკვრის** მარცხენა სანაპიროს.

მესამე მეზოკლიმატური რაიონი – **ბორჯომისა** და **სადგურის პლატოები** მდებარეობს მდ. **მტკვრის** კალაპოტიდან 170 მეტრის და მეტ სიმაღლეზე და მნიშვნელოვნად განსხვავდება პირველი ორი მეზოკლიმატური რაიონისგან; ბუნებრივ-კლიმატური პირობები აქ გაცილებით უფრო სასიკეთოა. ზაფხულობით, დღის საათებში ტემპერატურა არასდროს სცდება კომფორტის ზღვარს. ზამთრობით აბსოლუტური ტემპერატურული მინიმუმები უფრო მაღალია. ჰაერი ნაკლებად ტენიანია; მზის ნათების ხანგრძლივობა მეტია. ჰაერი ძალიან სუფთაა, ქარის სიჩქარე უფრო ზომიერია და ძლიერი ქარები უფრო იშვიათია, ვიდრე მდ. **მტკვრის** ხეობაში.

## 2. ქ. ბორჯომის განვითარების ისტორიული რეტროსპექტივა

საკურორტო ქალაქ *ბორჯომის* ისტორია, *საქართველოს* სხვა ქალაქებთან შედარე-

ბით, ხანგრძლივობით არ გამოირჩევა. მართალია, XX საუკუნის დასაწყისში, *ბორჯომის* მინერალური წყაროების ტერიტორიაზე საკაპტაჟე სამუშაოების წარმოების დროს, შვიდი მეტრის სიღრმეზე, აღმოჩნდა თლილი ქვით ნაგები აბაზანების ნაშთები, რომელ- ბიც არქეოლოგებმა I საუკუნის ნაგებობად მიიჩნიეს, მაგრამ, ამ თარიღის შემდგომი, ადამიანის უწყვეტი საქმიანობა ამ ტერიტორიაზე არ ფიქსირდება. გაცილებით უფრო მდიდარია მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენებითა და ფაქტებით *ბორჯომის ხეობა*, რომელსაც, ტრადიციულად, უბრალოდ *ხეობად* მოიხსენიებდნენ.

დღეს ამ სახელწოდებით ცნობილია მდ. *მტკვრის* სანაპიროს 60 კილომეტრიანი მონაკვეთი სოფელ *ტაშისკარიდან* ვიდრე სოფელ *აწყურამდე- ხეობას* ფარგლავს *მესხე- თისა* და *თრიალეთის ქედები*; ის *შიდა ქართლს ახალციხის ქვაბულს* უკავშირებს. მაგრამ, ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით, *ბორჯომის ხეობა* უფრო ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. მას ადრე *სადგურის ხეობა* ეწოდებოდა და, *მტკვრის ხეობის* გარდა, მოიცავდა *სადგურის ხეობასა* და *გუჯარეთის ხეობას*.

II–IV საუკუნეებში აქ *თორის* საერისთავო დაარსდა. *ვახუშტი ბატონიშვილი* გვიამბობს: „ფარნაოზ მოქცეული შემოვიდა მცხეთას და განაგო სამეფო თვისი; <...> და ქმნა საქართველო ცხრა საერისთავოდ. <...> მ ე შ ვ ი დ ე ოძრახოს და მისცა ტაშის-კარს ზეთი ზღუამდე პონტოსა და ჭოროხამდე“<sup>1</sup>

დღევანდელი ქ. *ბორჯომის* უშუალო შემოგარენის აღწერისას *ვახუშტი* ამბობს:

„ხოლო კუალად ჩრდილოდამ ხეობაში მტკუარს ერთვის ე შ მ ა კ თ – უ ბ ნ ი ს ხ ე ვ ი, გამომდინარე ამასა და მთას იქეთის მთის შუადამ. ამას ზეთ, ნ უ ა ს,

მოერთვის შავწყალი. ნუას ზეთ, ჭალის პირისპირ, სამხრიდამ, ერთვის მტკუარს

დ ღ ვ ა შ ი ს – ხ ე ვ ი. გამოსდის კოდიანის მთას, მას ზეთ არს, მტკურის კი- დესა ზედა, სამხრით, პ ე ტ რ ე ს – ც ი ხ ე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყ ვ ე რ ბ ი ლ ი ს – ხ ე ვ ი, მოერთვის სამხრიდამ მტკუარსა, გამოსდის კოდიანსა. პირისპირ ციხისა მოერთვის მტკუარს ჩრდილოდამ ლ ი კ ა ნ ი ს

– ხ ე ვ ი, გამოსდის მახვილო-ფერსათს. ამ ხევის ზეთ არს ჭ ო ბ ი ს – ხ ე ვ ი. და არს დვირამდე ქართლისა. არამედ არს ესე მტკუარის ხეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიან- ნი, ნაძოვან-ფიჭოვანნი. ირემი, თხა, არჩვი და სხუა ნადირნი მრავალნი“<sup>2</sup>

თავის „მეორე ატლასში“ (1745 წ.), *ვახუშტი (ბორჯომის) ხეობას, დვირამდე, ქართლს* მიაკუთვნებს; რუკაზე დატანილია *ნუა* – ორჯერ (დაბა მდ.

*მტკვრის* მარჯვე- ნა ნაპირზე, *შეწყალის* (გუჯარეთისწყლის) შესართავთან და *მტკვრის* გაღმა „მცირე ქალაქის“ აღნიშვნით), *სადგური* („მცირე ქალაქი“) და *პეტრეს ციხე* (იხ. ილ. 1). *პეტრეს ციხე* პირველად ისტორიაში მოიხსენიება VIII ს-ს პირველ ნახევარში; *გოგიას ციხის* აგე- ბა მიეკუთვნება XVI–XVII საუკუნეებს. 1811 წელს *გოგიას ციხეს* თავი შეაფარა 15 წლის *ლევან ბატონიშვილმა*, საქართველოს უკანასკნელი მეფის – *გიორგი XII-ს* ძმამ, მაგრამ აქვე მოკლულ იქნა ლეკების მიერ.

1 ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1973, გვ.57.

2 იქვე, გვ. 381–382.

3 ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ატლასი (XVIII ს.). თბ., 1997, გვ.26. (იქვე, გვ. 27 მოთავსებულ ტრანსლიტერირებულ გათანამედროვებული წარწერების მქონე რუკაზე *ნუას* მხოლოდ ერთი აღნიშვნაა მოთავსებული).

XV საუკუნეში *თორის* მხარე თავად *ავალიშვილთა* ხელში გადავიდა და *საავალიშ-ვილოს* სახელი დაიმკვიდრა. იმავე საუკუნის ბოლოს, დღევანდელი *ბორჯომის ხეობა, სამცხე-საათაბაგოსთან* ერთად, *ოსმალებმა* მიიტაცა; *ხეობა* მოსახლეობისაგან დაიცა-ლა და XVIII საუკუნის ბოლოსათვის მთლიანად გაუკაცრიელდა. მოსახლეობა *იმერეთსა* და *ზემო ქართლში* გაიხიზნა; ამ ადგილებში დასახლებები აღარ დარჩა. ეს მხარე სრულ მივიწყებას მიეცა:

„როგორც ირკვევა, ბორჯომის ხეობა, საერთოდ, ერთგვარი ნეიტრალური ზონა ყოფილა სამცხესა და ქართლს შორის.

ნეიტრალურ ხაზად იყო ბორჯომის ხეობა საახალციხოს საფაშოს და ქართლის სამეფოს შორის 1829 წლამდისაც (ახალციხის აღებამდე). იგი არ იყო ოსმალეთის,

მაგრამ არც რუსეთის ხელისუფლება იდგა შიგ“<sup>4</sup>

1672 წელს *ბორჯომის ხეობაში* იმოგზაურა *შარდენმა*, 1830-ან წლებში *მარი ბრო-სემ* და *დიუბუა დე მონპერემ*, მათს ჩანაწერებში საკუთრივ *ბორჯომი* არ არის მოხსენიებული.

გერმანელი მოგზაური *ი. ა. გიულდენშტედი*, რომელმაც ეს ადგილები XVIII საუკუნის 70-ან წლებში მოინახულა, წერს: „<...> სურამიდან ზევით (მტკვრის მარცხენა მხარეზე) არის: ბორჯომი, ახალდაბა (ციხე), ქიმერეთი, ნეკვი, კორტანეთი, ზანავი, ყვიბისი, თორი, ეშმაკთუბანი, ჭალა, ნუა, ფაფა, ლიკანი, ყვირბილი, პეტრესციხე, ჭობისხევი, ყველა ეს სოფელი განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქებს შორის“<sup>5</sup>

*ბორჯომის ხეობის* გზა იმდენად გაუვალი იყო, რომ 1808 წელს გენერალ *ტორ-მასოვის* სამხედრო ნაწილი 35 ვერსის გავლას ერთ კვირას მოუნდა.

1828 წელს *ახალციხე* აღებულ იქნა, რუსეთის იმპერიამ აღმოსავლეთ საქართველო შემოიერთა. გზა გაიხსნა *სურამსა* და *ახალციხეს* შორის, მას „ახალციხის სამხედრო გზა“ ეწოდა; გზაზე ჩადგა დონის კაზაკთა პოსტები. 1835 წელს, მთავარმართებლის *რო-ზენის* ბრძანებით, დაიწყო 3 საუკუნის სივანის გზის მშენებლობა, რომელიც 1842 წელს დასრულდა.

მოსახლეობა აქ მხოლოდ *რუსეთის იმპერიის საქართველოში* გაბატონების შემდეგ ჩნდება. 1828 წელს, ნასოფლარ *ნუას* ტერიტორიაზე, სადაც XIX საუკუნეში „ქართველების ეკლესია“ იყო, სახლდება თავად *ავალიშვილების* ყმათა ერთი კომლი, მდ. *მტკვარზე* ბორანის ბაჟის მოსაკრებლად. *ნუას* დასახლებამ 1850 წლამდე იარსება; შემდგომ ის *ბორჯომს* შეუერთდა.

კავკასიის პირველმა მეფისნაცვალმა, თავადმა *მ.ს. ვორონცოვმა ბორჯომი* თავის საზაფხულო რეზიდენციად აირჩია. *ბორჯომი* ნელ-ნელა რეგულარული დასახლების სახეს იღებს. 1853 წელს უზენაესი ბრძანებულებით *ბორჯომის* დასახლება დაბად (местечко) გარდაიქმნა. *მ.ს. ვორონცოვის* დავალებით, 1847 წელს, *ბორჯომის* განვითარების საქმე კარის ექიმმა *ერასტ ანდრეევსკიმ* ჩაიბარა.

XIX საუკუნემდე *ბორჯომის* მინერალური წყლის სამკურნალო თვისებებით,

ძი- რითადად, აბაზანების მიღების ფორმით, მცირერიცხოვანი ადგილობრივი მოსახლეობა

4 საქართველოს კურორტების ცნობარი. საქ.კურ. მთ. სამმ. გამ. ტფ., 1926, გვ.66.

5 გიულდენშტედტი ი. -ა. მოგზაურობა საქართველოში. ტ.1. თბ., საქ. მეცნ. აკად. გამ., 1962, გვ. 217–219.

თუ სარგებლობდა, რომელიც ბორანის მეშვეობით მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე გა- დადიოდა.

**რუსეთის იმპერიის** შემადგენლობაში **საქართველოს** ჩართვის პერიოდამდე, **ბორჯომის** სამკურნალო-ბალნეოლოგიური თვისებები კარგა ხნის დაკარგული იყო. ტერი- ტორია დაფარული იყო უღრანი ტყით; მინერალური წყლები ამოდიოდა ზედაპირზე პე- რიოდულად, 30-40 წუთის ინტერვალით, დიდი ხმაურით. საერთოდ, მინერალური წყა- როების დებეტი ცვალებადი იყო, მასზე დიდად მოქმედებდა ამ რაიონისათვის დამახა- სიათებელი სეისმური აქტიურობა. ასე მაგალითად, 1899 წლის **ახალქალაქის** მიწისძვრამ **ეკატერინეს წყაროს** დებეტი გაზარდა 8.000-დან 12.000 ვედრომდე დღე-ღამეში, ხოლო წყლის ამოფრქვევის (ერუპციის) ინტერვალი შემცირდა 8 წუთამდე. 1903 წელს განმეო- რებულმა მიწისძვრამ იგივე შედეგი გამოიწვია. ამასთან, წყლის ფიზიკო-ქიმიური შე- მადგენლობა და ტემპერატურა არ შეცვლილა. არსებული წყაროების სიახლოვეს ამოხე- თქა ორმა გოგირდოვანმა მინერალურმა წყარომ.

1816-1827 წლებში **ამიერკავკასიის** მთავარმართებლის გენერალ **ა.პ. ერმოლოვის** ინიციატივით, იწყება ახლად მიერთებული **საქართველოს** ტერიტორიის კომპლექსური შესწავლა - რესურსების გამოვლენისა და სამხედრო სტრატეგიული ამოცანების გა- დაწყვეტის მიზნით. ამიტომაც, **ბორჯომის** მინერალური წყლების მეორე „აღმოჩენა“ მოახდინეს **ქ. გორში** 1816 წელს დაბანაკებული ცხენოსანთა პოლკის სამხედრო მო- სამსახურეებმა, რომლებიც **ბორჯომის ხეობაში** სამშენებლო ხე-ტყისა და შეშის და- სამზადებლად იგზავნებოდნენ. ამ პოლკის მეთაურის **პ.გ. პოპოვის ბორჯომის ხეობაში** სამკურნალო მიზნებით გატარებული 1825 წლის ზაფხული ოფიციალურად ითვლებოდა **ბორჯომის** მინერალური წყლების აღმოჩენის დროდ.

იმავე წელს, **კარპოვიჩის** მიერ შედგენილი **ამიერკავკასიის** სამხედრო- ტოპოგრა- ფიულ აღწერილობაში უკვე მოხსენიებულია „ბორჯომის მინერალური წყლები“, იმ არსე- ბითი მინიშნებით, რომ „ბორჯომის მინერალურ წყლებთან მისვლა უსაფრთხოებისათვის საჭიროებს შეიარაღებულ დაცვას“. ეს გასაკვირი არც იყო, რადგან სწორედ აქ გადიო- და **რუსეთის იმპერიისა** და **ოსმალეთის** გამყოფი ხაზი, რომელმაც 1829 წელს, **ადრიანო- პოლის ზავის** პირობების თანახმად, სამხრეთით გადაინაცვლა და იმპერიის ფარგლებში **აწყური, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი, ხერთვისი, ქვაბლიანი, აბასთუმანი, ფოცხოვი** და **ჩელდირი** მოაქცია. **ამიერკავკასიის** იმდროინდელმა მთავარმართებელმა ფელდმარ- შალმა გრაფმა **ი.ფ. პასკევიჩმა** დაუყოვნებლივ გაიყვანა გზა **ბორჯომიდან ახალციხემდე**, თუმცა ამ გზაზე მიმოსვლა ნაკლებად საიმედო იყო წყალდიდობების დროს ორი ხის ხიდის ხშირი დაზიანების გამო.

შემდეგმა მთავარმართებელმა ბარონმა **გ.გ. როზენმა** გაიყვანა **სურამი- ახალციხის** გზა **მდ. მტკვრის** მარცხენა ნაპირზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი **ბორჯომის ხეობის** გამოცოცხლებას და სამკურნეო ცხოვრებაში ჩართვას. მისივე დავალებით, **თბი- ლისის** სამხედრო ჰოსპიტალის პროვიზორმა **ხ.დ.**

*ვილქემსმა* 1835 წელს გააკეთა *ციხის-ჯვრის* მინერალური წყლის პირველი ქიმიური ანალიზი.

*ბორჯომის*, როგორც კურორტის, დაფუძნება-განვითარება სამხედრო მთავარმარ-თებლის – გენერალ *ე.ა. გოლოვინის* სახელს უკავშირდება. იმ დროისათვის დაგროვილი სამკურნალო გამოცდილების გათვალისწინებით, მისი ოჯახი 1841 წლის ზაფხულში ეწვია

*ბორჯომის ხეობას*, რისთვისაც მინერალური წყაროების სიახლოვეს აშენდა საცხოვრებელი სახლი, სააბაზანო, გალერეა და კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია. მკურნალობამ კარგი შედეგი გამოიღო, რაც საზეიმოდ აღინიშნა. ამის შემდეგ *ბორჯომის* მინერალური წყლების ზედა წყაროს *ე.ა. გოლოვინის* განკურნებული ქალიშვილის სახელი დაერქვა – *ეკატერინეს წყარო*.<sup>6</sup> ამიტომ, 1841 წელი შეიძლება ჩაითვალოს *ბორჯომის*, როგორც კურორტის, დაფუძნების წლად. უკვე შემდეგ წელს დაიწყო *ბორჯომის* მინერალური წყლების საფუძვლიანი სამეცნიერო შესწავლა და კურორტის მშენებლობა. გაყვანილ იქნა შიდა გზები, კეთილმოეწყო აბაზანები, აშენდა ხის 2 კაპიტალური სახლი.

*ბორჯომის* შემდგომი განვითარების ეტაპი უკავშირდება 1844 წელს ამიერკავკასიაში მეფისნაცვლად დანიშნული *მ.ს. ვორონცოვის* სახელს. მანამდე, 1842 წელს, მინერალური წყლები გადაცემულ იქნა *ქ. გორში* დაბანაკებულ ქართველ გრენადერთა პოლკს; პოლკის *თეორ წყაროში* გადასვლის შემდეგ, *მ.ს. ვორონცოვმა* წყლების გამგებლობა დროებით გადააბარა გზათა მიმოსვლის VIII ოკრუგის სამმართველოს, ხოლო 1849 წელს მარტში *ბორჯომის* წყლები გადაეცა კავკასიაში სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის გამგეს. მანამდე, 1846 წელს, *მ.ს. ვორონცოვმა* დაავალა ამიერკავკასიის ცხენოსანთა ბრიგადის მეთაურს, გენერალ-მაიორ ბარონ *გრანგელს* დაემუშაებინა *ბორჯომისა და ციხისჯვარის* მინერალური წყლების კეთილმოწყობის ღონისძიებები.

*ბორჯომი* გახდა *მ.ს. ვორონცოვის* საზაფხულო რეზიდენცია; დაიწყო საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების, ეკლესიების მშენებლობა, ბიუვეტების მოწყობა, პლატოზე ჩაიყარა პარკი. გაყვანილ იქნა გზები, *მდ. მტკვარზე* აიგო ხის ხიდი. აშენდა წყალსატევი, გაყვანილ იქნა *ბორჯომ-ტფილისის* სატელეფონო ხაზი, დაწესდა საფოსტო მიმოსვლა მარშრუტებით *ბორჯომი-გორი* და *ბორჯომი-ახალციხე*.

1847 წელს, *ბორჯომის* განვითარების საქმე კარის ექიმმა *ერასტ ანდრეევსკიმ* ჩაიბარა. 1849 წელს *მ.ს. ვორონცოვმა* *ბორჯომის* მინერალური წყლები გადასცა სამოქალაქო უწყებას და გამოყო 5.000 მანეთი კურორტის მოსაწყობად. დაიწყო *ბორჯომი-სადგური-ციხისჯვარი-ცხრაწყაროს უღელტეხილი-ახალქალაქი* გზის გაყვანა (Ново-Ахалкалакская дорога). მოსახლეობის მოზიდვის მიზნით დაიწყო სამოსახლო მიწების გაცემა *მდ. მტკვრის* მარჯვენა ნაპირზე და სააგარაკოდ – მარცხენაზე. შეიქმნა მინერალური წყლების სამმართველო.

1850 წელს *მტკვარზე* გაიღო ხიდი, აშენდა ეკლესია, სასტუმროები, მოეწყო სააბაზანო შენობები, *მდ. ბორჯომულას* სანაპიროები, დაარსდა საფოსტო მიმოსვლა *ტფილისა* და *ბორჯომს* შორის. ამავე წელს, პროვიზორმა *ზახაროვმა* ჩამოასხა 1 300 ცალი ნახევარლიტრიანი ბოთლი *ბორჯომის* წყალი და *ტფილისში* ჩაიტანა გასაყიდად, 1 მან. და 20 კაპიკის ფასად. ეს იყო *ბორჯომის* წყლის გაგრძელების პირველი ცდა.

1853 წელს, *პოლტავისა* და *ჩერნიგოვის* გუბერნიებიდან ჩამოიყვანეს

უკრაინელი კოლონისტების 200 კომლი – სულ 764 კაცი და 611 ქალი – და დაასახლეს *სადგერში, დაბაში, წაღვერში, ბაკურიანსა* და *ციხისჯვარში*. ამათგან ნახევარზე მეტი ვერ შეეგუა ადგილობრივ პირობებს და *ჩრდილო კავკასიაში* გადასახლდა.

---

6 მეორე წყაროს *ვეგენის* სახელი ეწოდა, რაზედაც არსებობს ორი მოსაზრება – გენერალ *ვეგენი ალექსანდრეს ძე გოლოვინის* საპატივცემლოდ და სამხედრო ინჟინერ გენერალ-მაიორის *ვეგენი ესპეხოს* საპატივცემლოდ, რომელმაც კეთილმოაწყო ორივე წყარო.

1853 წელს ბორჯომმა აიმაღლა სტატუსი – უზენაესი ბრძანებულებით ის „ადგილიდან“ გარდაიქმნა „დაბად“, აქ ჩასახლების ნებართვა მიეცა „<...> как русским, так и иностранным подданным всех сословий и исповеданий, кроме инородных евреев“.<sup>7</sup>

**მ.ს. ვორონცოვმა** იზრუნა ბალნეოლოგიის დარგის სპეციალისტების მომზადებაც. **ბორჯომი ამიერკავკასიისა და რუსეთის** შიდა გუბერნიებში პოპულარული კურორტი გახდა.

1854 წლიდან იწყება **ბორჯომის** წყლის რეგულარული ექსპორტი; პირველი პარტია – 1 300 ბოთლი **ტფილისში** გაიგზავნა და გაიყიდა 25 კაპიკად ბოთლი. ამ დროს დადგინდა **ბორჯომის** მინერალური წყლების სამკურნალო თვისებები; ექიმ **ს.ა. ამიროვის** მიერ შემუშავებულ იქნა მკურნალობის მეთოდები. **მინერალური წყლის პარკიდან ვორონცოვის პლატომდე** და **თორის** გზამდევ მოეწყო „**ანდრასენოვის სამკურნალო ბილიკები**“ (ტერენკურები) – სიმსუქნით, ნიკრისის ქართა და გულის დაავადებულთა სამკურნალოდ.

**მ.ს. ვორონცოვის** მმართველობის დასრულების შემდეგ კურორტ **ბორჯომის** განვითარება შეჩერდა. 1858–1862 წლებში გაყვანილ იქნა **გუჯარეთის** გზა და შეკეთდა **სურამ-ბორჯომის** გზა. იმ დროს **ბორჯომის** სახაზინო მამული შედიოდა **გორის** მაზრის **ხიდისთავის** უბანში.

1862 წელს **ამიერკავკასიაში** მთავარსარდლად დაინიშნა **დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი**; დაიწყო **ბორჯომის** განვითარების ახალი ეტაპი. 1864 წლისთვის ბორჯომი ჩართული იყო საკმაოდ განვითარებულ სატელეგრაფო ქსელში: «От Тифлиса идут четыре телеграфных линии: <...> 2) Тифлис-Поти, с ветвью в Ахалцах <...>. На протяжении этих линий, соединяющих Тифлис с Россией, Сибирью, всею Европой, Алжиром, Персией и Восточной Индией имеются по Кавказскому и Закавказскому краям двадцать две телеграфные станции <...>». ხსენებულ ამ სატელეგრაფო სადგურების ჩამონათვალში ბორჯომიც შედიოდა<sup>8</sup>. 1865 წელს **მდ. მტკვრის** მარჯვენა ნაპირზე აშენდა და გოთურ არქიტექტურულ სტილში გადაწყვეტილი ყაზარმა; 1871 წელს დასრულდა

**მ.ნ. რომანოვის** მავრული სტილის სასახლის მშენებლობა, რომლის გახსნას დაესწრო **რუსეთის** იმპერატორი **ალექსანდრე II**; მან **ბორჯომის სახაზინო მამული** აჩუქა **მ.ნ. რომანოვს**, მაიორატის წესის შენარჩუნების პირობით.<sup>9</sup>

უნდა ითქვას, რომ **ბორჯომის** ბალნეოკლიმატური პირობების შესწავლას იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა. ამ მხრივ, პირველი მკვლევარი ექიმი **ს.ა. ამიროვი** იყო; მას მოჰყვა თავად **მ.ს. ვორონცოვთან** დაახლოვებული პირი, **კავკასიაში სამედიცინო ნაწილის მმართველი**, ექიმი **ვ. ანდრეევსკი**; ექიმმა **იოანისიანმა** დატოვა **ბორჯომის** დაწვრილებითი სამედიცინო აღწერა; ბევრს წერდა **ბორჯომის** წყლის სამკურნალო თვისებების შესახებ ექიმი **ვიხოდცევი**; ქიმიკოსმა **სტრუვემ** ჩაატარა მინერალური წყლის პირველი ზუსტი კვლევა. განსაკუთრებული ამაგი დასდო **ბორჯომის** განვითარებას ექიმმა **ა.ა. რიომერტმა**.

7 ИГИЛ СССР, ф. 1287, оп. 6, д. 889.

- 8 1865 г. февраля. – Отчёт Тифлисского старшего полицмейстера тифлисскому гражданскому губернатору о состоянии г. Тифлиса за 1864 г. В: «Документы по истории Грузии (1862-1917)». Том I. Часть 2. Тбилиси, изд. Архивного управления при СМ ГССР, 1960, с.103.
- 9 მაიორატი – მემკვიდრეობის სისტემა, რომლის დროს უძრავი ქონება განუყოფლად გადადის ერთი პირის ხელში, გვარში უფროსობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფაქტობრივად, მთელი *ბორჯომის რომანოვების* დინასტიის, სახელდობრ, დიდი თავადის *მიხეილ ნიკოლოზის ძის* ხელში გადასვლის შემდეგ, კეთილმოწყობის სამუ- შაობმა აქ ფართო მასშტაბი შეიძინა. დიდი ყურადღება ექცევა საინჟინრო ინფრას- ტრუქტურის განვითარებას.

ჩატარდა *ეკატერინეს* მინერალური წყაროს კაპტაჟი და მის თავზე მოეწყო ხის პა- ვილიონი (იხ. ილ. 2). კაპტაჟის მოწყობის შემდეგ, 1868 წელს ჩატარდა წყაროს წყლის ქიმიური ანალიზი; 1892 წლიდან მოყოლებული წყლის ანალიზი რეგულარულ ხასიათს იძენს.

1868 წელს, ხის ხიდის ნაცვლად, აშენდა რკინის ახალი ხიდი, რომელსაც *დიდი მთავარის* მეუღლის *ოლღას* სახელი დაერქვა.

ამ პერიოდში, *ბორჯომის*, როგორც კურორტის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა *ტფილისის* გუბერნიის *მინერალური წყლების სამმართველოს* მმართველმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა *ადოლფ ალექსანდრეს ძე რიომმერტმა*. კურორტის კეთილმოსაწყობად მას 24.000 მანეთი გამოეყო.

მინერალური წყლების ექსპლუატაციის გასაუმჯობესებლად კეთილმოეწყო *ეკატ- ერინეს წყარო*, გაღერვა და სააბაზანო; დანერგილ იქნა მკურნალობის ახალი მეთოდე- ბი (ელექტროპროცედურების ჩათვლით); გაშენდა ახალი პარკები; *მდ. ბორჯომულაზე* გაიდო რკინის ხიდები (*ამიროვის, ანდრეევსკის, იოანნესიანის, ვიხოდცევის, სტრუვეს* სახელობის); მოეწყო ჯებირები; დაფუძნდა მეტეოროლოგიური სადგური და ა.შ.

ამ დროს *ბორჯომისათვის*, რომელმაც ქალაქის სტატუსი 1877 წელს შეიძინა, მუშ- ავდება საპროექტო დოკუმენტაცია და სხვადასხვაგვარი წესები და რეგლამენტები:

1874 წელს განიხილება წინადადება *მდ. მტკვარზე* რკინის ხიდების აგების თაობაზე;

1876 წელს მუშავდება „Правила о внешнем благоустройстве в м. Боржоми“;

1888 წელს მტკიცდება „Правила для м. Боржома во время курса на Боржомских минеральных водах“

1898 წელს განიხილება „*ვორონცოვის პლატოსა*“ და *ბაკურიანის* სააგარაკოდ განაშენიანების პროექტი;<sup>10</sup>

1902 წელს მუშავდება „Санитарно- полицейские правила для м. Боржом и других пунктов селения, входящих в пределы округа минеральных вод“;

1909–1910 წ.წ. განიხილება *მინერალური წყლების პარკიდან „ვორონცოვის*

*პლატოზე*“ ფუნიკულორის მოწყობის საკითხი.

*მ.ნ. რომანოვის* განკარგულებით შემუშავდა *ბორჯომის* განვითარების გეგმა სტიქ- იური განაშენიანების მოსაწყესრიგებლად. შედეგმაც მალე იჩინა თავი.

1891 წელს დაიწყო *ბორჯომის* მინერალური წყლების რეგულარული ჩამოსხმა. წყლის ხარისხის გასაუმჯობესებლად და დებეტის გასადიდებლად

1891–1892 წლებში ჩატარდა მინერალური წყაროს კაპტაჟი. 1894 წელს ინჟინერ *პუშენიკოვის* პროექტით გაყვანილ იქნა *ხაშური* (იმ დროს *მიხაილოვო*) –*ბორჯომის* რკინიგზა; 1898–1902 წ.წ. აშენდა *ბაკურიანის* ვიწროლიანდაგიანი სარკინიგზო ტოტი. ადგილზევე მზადდებოდა *ბორჯომის* წყლის ჩამოსასხმელად ბოთლები. ჩამოსასხმელ ქარხანაში, ძირითადი პრო-

10 ЦГИА СССР, а. 547, оп. 3, д. 3132.

დუქციის გარდა, მზადდებოდა *ბორჯომის* მარილი და კვერები (лепёшки), რომლებიც შეზავებული იყო ტბილი და სურნელოვანი სანელებლებით.

*ბორჯომისადმი* ცხოველ ინტერესს იჩენს დიდი თავადი *გიორგი მიხეილის ძე*. 1888 წელს მას გამოეყო მიწის ნაკვეთი „*ვორონცოვის პლატოზე*“; 1908 წელს მან მამისგან – *მიხეილ ნიკოლოზისგან* საჩუქრად მიიღო 28 დესეტინა მიწა *მტკვრის* მარცხენა ნაპირ-ზე, სასახლითა და ბაღითურთ.

1899 წელს *ბორჯომის პარკში* აიგო *რუსეთის იმპერიაში* ერთ-ერთი პირველი ჰი-დროელექტროსადგური (მანამდე აშენებული იყო *ცარსკოე სელოსა* და *ახალი ათონის* ელ. სადგურები), 300 ცხენის ძალის სიმძლავრისა (არქიტექტორი *გ. შერგარტი*, სამუ-შაოების ხელმძღვანელი *ფ.გ. მოლდენგაუერი*, ტექნოლოგიური *შენჭერი*). ქიმიკოს-მა *ფ.გ. მოლდენგაურმა* შეიმუშავა ბოთლებში ჩამოსხმული *ბორჯომის* წყლის კონსერვაციის მეთოდი ნახშირმჟავა აირის მეშვეობით, რამაც ხელი შეუწყო ამ პროდუქციის რეალიზებას *რუსეთის* ქალაქებსა და საზღვარგარეთ. შედეგად, *ბორჯომის* წყალმა დიდ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო გამოფენებზე: 1907 წელს *სპაში (ბელგია)*, 1909 წელს *ყაზანში (რუსეთი)*, 1911 წელს *დრეზდენში (გერმანია)* და ა.შ.

1892 წელს *ნიკოლოზ მიხეილის ძე რომანოვმა ლიკანში* ააგო რენესანსის სტილის სასახლე (პროექტის ავტორი – *ბენუა*). *ლიკანის პარკის* პროექტირება და მშენებლობა უკავშირდება *მიხეილ რომანოვის* სასახლის კომპლექსს. პარკის ტერიტორია თავის დროზე ეკუთვნოდა თავად *ავალიშვილებს*, შემდგომ ის გადავიდა გენერალ *ლ. ფონ პეტერსის* ხელში, რომელმაც მიწის ეს ნაკვეთი 1880-ანი წლების ბოლოს *მიხეილ რომანოვს* მიჰყიდა.

სასახლის მშენებლობა, ცნობილი ფრანგულ-გერმანული წარმოშობის რუსეთში მოღვაწე ხელოვანთა გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის *ნიკოლოზ ბენუას* პროექტით, დაიწყო *მიხეილ რომანოვის* შვილმა – *ნიკოლოზ რომანოვმა*. მშენებლობა 1892–1896 წლებში მიმდინარეობდა, *ტფილისში* მოღვაწე არქიტექტორის – *ლეოპოლდ ბილფელდის* ხელმძღვანელობით. ადგილობრივ ხელოსნებთან ერთად, სასახლის აგებაში მონაწილეობდნენ ბერძენი და იტალიელი მშენებლები. მშენებლობის პარალელურად ჩაყრილ იქნა დეკორატიული პარკი; ამ სამუშაოს ხელმძღვანელობდა *ვლადიმერ იაგორის ძე რამი*. 1898 წელს პარკიდან *მდ. მტკვრის* მარჯვენა ნაპირზე *საფრანგეთში* დამზადებული ასაწყობი ხიდი იყო აგებული. ხიდი 1968 წლის წყალდიდობამ წააგდო. *ლ. ბილფელდის* ესკიზებით იტალიაში დამზადებულია რამდენიმე მცირე ფორმა, პარკის დასამშენებლად.<sup>11</sup>

სასახლის მიმდებარე ვრცელი ტერიტორია შემოუღობავთ და იქ ირმები, შვლები და ჯიხვები მოუშენებიათ.

თანამედროვე კლასიფიკაციის მიხედვით, *ლიკანის პარკი* ლანდშაფტური პარკების რიცხვს მიეკუთვნება. მისი დაგეგმარება, ძირითადად, თავისუფლად, ბუნებრივ პირობებთან მაქსიმალური შეგუებით იყო გადაწყვეტილი; თუმცა კომპოზიციის ღერძი საკმაოდ მძლავრად გამოკვეთილი. ამ ღერძზე

ასხმულია თვით სასახლე, მონუმენტური კიბე, შადრევანი, პარკის მთავარი ხეივანი და *მდ. მტკვრის* მარჯვენა ნაპირთან დამაკავშირებელი ხიდი. ეს ღერძი „პეტრეს ციხის“ კომპოზიციური აქცენტით გვირგვინდება. *ლიკანის პარკის* ძირითად ღირსებას წარმოადგენს ხელოვნურად გაშენებული ნაწი-

11 მანია. მ. ევროპელი არქიტექტორები თბილისში. თბ., 2006, გვ. 126.

ლების მდოვრე შერწყმა გარემომცველ ლანდშაფტთან. ამ ზოგადი პრინციპის ფარგლებში, პარკი შეიცავს საბაღო-საპარკო ხელოვნების მრავალ საინტერესო გადაწყვეტასაც. სივრცითს-კომპოზიციური წყობის თვალსაზრისით, პარკის სასახლის ქვედა ნაწილი აგებულია პარკის ცალკეული უბნების ანფილადურ პრინციპზე. ხედები, ბუნებრივი პირობების გამო, გახსნილია აღმოსავლეთ-დასავლეთის („პარალელისეული“) მიმართულებით. ამ ნაწილში პარკი ხასიათდებოდა გახსნილი სივრცეებისა და ხელოვნური ნარგავების მჭიდრო ჯგუფების რითმული მონაცვლეობით. შემდგომში, ეს პრინციპი დარღვეულ იქნა თავდაპირველი კონცეფციის შეუფერებელი ნარგავების გამო.

პარკში უხვადაა მცენარეული კომპოზიციები, რომლებშიც გამოყენებულია რო- გორც დეკორატიული მცენარეების ადგილობრივი, ენდემური ჯიშები, ისე სხვადასხვა ეგზოტიკური სახეობებიც, რომლებიც კარგად შეეგუენ *ლიკანის* მიკროკლიმატურ პი- რობებს. მცენარეთა ნომენკლატურაში გამოყენებულია *კაკასიური სოჭი, აღმოსავლური ნაძვი, პირამიდული ფორმის ენგელმანის ნაძვი* და სხვა.

პარკი დამშვენებულია მცირე არქიტექტურული ფორმებითა და ქანდაკებებით, რომელთა შორის გამოირჩევა სკულპტურული კომპოზიცია „არწივთა ბრძოლა“. ითვლება, რომ იგი ასახავს ხალხში გავრცელებულ ლეგენდას ძმების – *პეტრე* და *გოგია ავა- ლიშვილების* ქიშპობის თაობაზე.

*ლიკანის სასახლის პარკს* საბჭოთა პერიოდში მიენიჭა რესპუბლიკური მნიშვნელობის საბაღო-საპარკო ხელოვნების ძეგლის სტატუსი.

1893 წელს, უმცროსმა ძმამ, *სერგეი მიხეილის ძე რომანოვმა თორის პლატოზე* ააშენა ორსართულიანი სასახლე.

მთლიანად აიგემა ბორჯომის ტერიტორია (იხ. ილ. 3). უნდა ითქვას, რომ „ამიერ- კავკასიის მხარეში“ («Закавказский Край») ტერიტორიის ტოპოგრაფიული აგეგმვისთვის გამოიყენებოდა *რუსეთის იმპერიის* დანარჩენი ნაწილებისათვის მიღებული წესებისა- გან განსხვავებული მიდგომა: «<...> система съёмки, установленная общими межевыми законами для межевания в России, не удовлетворяет особым условиям гористой местности Закавказского Края <...>»;<sup>12</sup> ამიტომაც, მიღებულ იქნა ე.წ. „მენზურული გა- დაღების“ სისტემა, რომელიც დაფუძნებული იყო ტრიგონომეტრიულად განსაზღვრულ პუნქტებზე. საგანგებოდ შემუშავებული *ინსტრუქცია* ადგენდა, რომ გამიჯვნის მიზნით ტოპოგადაღებებისას გამოიყენებოდა მასშტაბი – 100 საუენი ერთ დიუიმში. ამასთან ერთად, *ინსტრუქცია* უშვებდა სხვა მასშტაბის გამოყენებასაც:

«71. Увеличение масштаба, противу нормального в два и четыре раза (т.е. 50 и 25 сажень на дюйм) допускается <...> 2) вообще при съёмке городских и сельских имений, представляющих дробность владений»<sup>13</sup>. მიწის ერთიანი, განუყოფელი მასივების გად- აღებისას დაიშვებოდა მასშტაბის შემცირება ორჯერ და ოთხჯერ.

*ბორჯომის მამულის* მთავარი მეტყევის, პროფ. *მ.ლ. პახარის* თაოსნობით, ამოქმედდა სკიპიდარის ქარხანა, რომელიც უშვებდა დიდი გასაგალის მქონე 8 სახის პრო-დუქციას. *მდ. ჩარხისწყალზე (შავწყალაზე)* შენდება საორთქმავლო დეპო. 1890 წელს, დიდ მთავრის *მ.ნ. რომანოვის* დავალებით, *მარკგრაფმა* შეადგინა „მშენებლობის ფართო

12 Инструкция Закавказской межевой палаты о съёмке и составлении межевых планов. Тифлис, 1883, с.1.

13 იქვე, გვ. 19.

გეგმა“; რომლის განხორციელების შედეგად *ბორჯომი* იმ დროისათვის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურით აღიჭურვა და მოიპოვა *რუსეთის იმპერიის* ერთ-ერთი საუკეთესო ბალნეო-კლიმატური კურორტის სახელი; მას ხშირად „კავკასიის ვიშის“ უწოდებდნენ და მაინც, *ბორჯომი* სეზონურ საზაფხულო კურორტად რჩებოდა; დამკვირვებელი წერდა:

„<...> летом к услугам дачника и все удобства – есть всё, и ювелиры, и модные мастерские

– всё это наезжает на время сезона».

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში კურორტ *ბორჯომის* საზოგადოებრივი ცხოვრება საკმაოდ გაცხოველებული იყო. საკმარისია ითქვას, რომ აქ კონცერტები გაუმართავს „ვალსის მეფეს“ *იოჰან შტრაუსს* (შვილს)<sup>14</sup>. გარდა სეზონური სასიათის ღონისძიებებისა, რომლებშიც ჩართული იყო დასასვენებლად ან სამკურნალოდ ჩამოსული საზოგადოება,<sup>15</sup> ადგილზე მოქმედებდა რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მაგალითად, „*ბორჯომის ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების*“ საქმიანობა მიმართული იყო *ბორჯომის* გოგონათა დაწყებით სასწავლებელში მოსწავლე ხელმოკლე მოწაფეების ხელის შეწყობისკენ და სწავლის შემდგომი გაგრძელების სტიმულირებისკენ. ამ საზოგადოების წევრები მამაკაცებიც შეიძლება ყოფილიყვნენ.<sup>16</sup>

1910 წელს *ბორჯომში* იხილებოდა მინერალური წყლების პარკში „სკეიტინგრივის“ მოწყობის თაობაზე და მისი იჯარით გადაცემაზე ვინმე *აიზენბერგისთვის*, 3 წლის ვადით.

1913 წელს, *ეკატერინეს წყაროს* საკაპიტალო სამუშაოების წარმოების დროს *ბორჯომში* ნაპოვნი 6 აბაზანა და სხვა არქეოლოგიური ნივთები, 1918 წლის დიდ ნიაღვრამდე „ამშვენებდა ე.წ. „არქეოლოგიურ მოედანს“, რომელიც მოწყობილი იყო *ბორჯომის მამულის* გამგის *პ.ზ. ვინოგრადოვ-ნიკიტინის* მიერ.

*ბორჯომში*, დამსვენებელთათვის საკონსულტაციო დახმარების აღმოსაჩენად («для

подачи пособия посетителям боржомских минеральных вод»), *ტფილისიდან* რეგულარულად იგზავნებოდნენ ექიმები. ასე, 1862 წელს *ბორჯომში* გაიგზავნა *ქ. თბილისის* ქალაქის ექიმი (городовой врач) *ჩაშნიცკი*,<sup>17</sup> 1863 წელს – *ტერ ასატუროვი*<sup>18</sup> და ა.შ.

სერიოზული ყურადღება ექცევა მინერალური წყლის საბადოების დაცვის ზონას, რომელიც იფარგლება სხვილი ჰიდროგეოლოგიური კვლევის შედეგად; სათანადო წინადადება მოიცავს საკმაოდ დიდ ტერიტორიას: «<...> в округ охраны необходимо включить: а) Боржомское местечко; б) нижнюю часть Боржомского ущелья и в) площадь, занятую Боржомским плато, включая в неё часть подъёма на Цхрацкаро».<sup>19</sup> მაგრამ, იმ დროს ეს წინადადება ვერ განხორციელდა.

14 როგორც ცნობილია, გამონჩენილი ავსტრიელი მუსიკოსი – კომპოზიტორი და მევიოლინე *იოჰან შტრაუსი* (შვილი) (1825–1899) არაერთხელ მართავდა საკონცერტო სეზონებს *რუსეთში* (1856–65, 1869 და 1872 წ.წ.) *პავლოვსკში*, *პეტერბურგის* მახლობლად. *ბორჯომში*, დიდი თავადის *მიხეილ ნიკოლოზის ძის* სასახლეში მის გამოსვლას

მოწმობს კარის ჰოფმაისტერის მიერ ამის თაობაზე გაცემული მოწმობა (სანქტ-პეტერბურგის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ფონდი 547, აღწ. 1, საქმე 908). I Инструкция Закавказской межевой палаты о съёмке и составлении межевых планов. Тифлис, 1883, с.1.

- 15 «В минеральном парке средоточие курортной жизни и рендеზ-воუს элегантной публики. Здесь находятся галлерия, минеральные ключи, ванны, курзал с библиотекой, <...> танцевальный салон, маленький театр и ротонда для музыки и проч.» (Джаншиев Г. Перл Кавказа. М., 1900, с.52)..
- 16 Устав Боржомского дамского благотворительного общества для вспомошествования учащимся в Боржомском начальном женском училище. Тифлис, 1900.
- 17 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ.8., აღწ. 1, საქმე 2514.
- 18 საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი. ფ.8., აღწ. 1, საქმე 3311
- 19 Коншин А. Отчёт об исследовании Боржомских и Абас-Туманских минеральных вод с целью определения их округов охраны. Тифлис, изд. Кавказского Горного Управления, 1893, с. 57

*ბორჯომის* მინერალური წყლის საბადოების დაცვის ზონა, პირველად, *კაკასიის სამკურნალო ადგილების განვითარების ხელშეწყობის საზოგადოების* დავალებით, 1914 წელს *მ.ი. კაპუსტინმა* შეადგინა. ეს გეგმა *რუსეთის* დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 13 აგვისტოს დაამტკიცა.

*ბორჯომში* ფუნქციონირებდა რამდენიმე საწარმო, მათ შორის *პეტერსის* ლუდ-სახარში *ლიკანში*. *ბორჯომის* წყლის ჩამოსასხმელ ქარხანას მართავდა ქიმიკოსი *ფ.ფ. მოლდენგაუერი*. წყლის ექსპორტმა 1892 წელს 61.000, 1898 წელს – 812.000 ბოთლი შეადგინა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო *ლიკანის* სასახლისა და *ბორჯომის* განათება 1899 წელს.

ვითარდება სასტუმრო მეურნეობა – 1902 წლისათვის *ბორჯომში* 6 სასტუმრო იყო:

«Гостиницы очень хорошие и содержатся в образцовом порядке; всех гостиниц 6:

- 1) «Старо-кавалерская» (43 номера); 2) «Минеральные воды» (32 номера); 3)

«Боржом» на Михайловской набережной (29 номеров); Эти три гостиницы принадлежат Боржомскому имению, 4) «Центральная» на берегу р. Куры, у Рёммертовского парка (24 номера); 5) «Греция» - на берегу р. Куры у Ольгинского моста (23 номера); 6) «Фирузэ» - у минеральных вод (22 номера)».<sup>20</sup>

ეს უკანასკნელი *სპარსეთის* კონსულის ვილა იყო და ქირავდებოდა, როგორც სასტუმრო «Минеральные воды»-ის განყოფილება. საერთოდ, საუკეთესო სასტუმროები ფრანგებს ჰქონდათ იჯარით აღებული და კარგად მოვლილი იყო.

სასტუმროების გარდა, ფუნქციონირებდა ავეჯით მოწყობილი გასაქირავებელი ოთახები (меблированные номера): «Берлин», მდ. *მტკვრის* მარცხენა ნაპირზე, *ოლღას ხიდთან* (5 ნომერი) და «Чёрная речка» რკინიგზის სადგურთან (5 ნომერი); აქ სამზარეულო გაერთიანებული იყო ვაგზლის ბუფეტთან.

XIX-XX საუკუნის მიჯნაზე დამსვენებელთა რიცხვი სტაბილური იყო; 4 წლის მონაცემები შემდეგ სურათს იძლევა:<sup>21</sup>

ცხრილი 1

წელი	„ჩამოსულები“	„სამკურნალოდ“	სულ
1898	3.292	403	3.695
1899	3.125	447	3.572
1900	3.253	442	3.695
1901	3.459	512	3.971

ამ დროისათვის *ბორჯომში* 300-მდე კერძო აგარაკი იყო: «Влево от Боржомки возвышенность, её уступы застроены дачами; возвышенность называется Солдатская слободка или Сергиевский мыс».<sup>22</sup>

*ბორჯომში* სამოსახლო მიწის ნაკვეთების გაცემა მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული. ნაკვეთების ათვისებაზე თანხმობას თვით დიდი თავადი *მიხეილ*

## *ნიკოლოზის*

---

20 Боржом. Справочная книжка для врачей и больных. Тифлис, 1902, с. 37

21 Боржом. Справочная книжка для врачей и больных. Тифлис, 1902.

22 იქვე, გვ. 30.

ძე იძლეოდა. დგებოდა სპეციალური სია.<sup>23</sup> სიის შედგენა 1879 წელს დაწყებულა; მას ხელს აწერს *ბორჯომის მამულის* მმართველი *ა. არდასენოვი*. სია შედგენილია სპეციალ-ური ფორმის მიხედვით და შეიცავს შემდეგ მონაცემებს:

რიგითი  
ნომერი;

პირის წოდება, სახელი, მამის სახელი (მოიხსენიება როგორც ის პირი, რომელზედაც გაიცა ნაკვეთი, ისე ფაქტობრივი მფლობელი, სიის შედგენის დროისთვის);

ნაკვეთის ფართობი კვადრატულ  
საუენებში;

ნაკვეთის საზღვრების აღწერა, ქვეყნის ოთხივე მხრიდან მეზობელი

ნაკვეთი- სა თუ სხვა ობიექტის მითითებით;

ნაკვეთის ნომერი გამიჯვნის გეგმის მიხედვით;

მოსაკრებელის გადახდის მდგომარეობა.

1879 წლის სიაში სულ 54 ერთეულია; ნაკვეთების ფართობი მერყეობს 53-დან 1 150 კვადრატულ საუენამდე.

*ბორჯომი* იმთავითვე განიცდიდა ტერიტორიის სიმწირეს. ამიტომაც, *ბორჯომის მამულის სამმართველომ* თვალი მიაპყრო „ვორონცოვის პლატოს“, სადაც იგეგმებოდა ახალი სააგარაკო უბნის მშენებლობა: «Выдающееся значение Боржомского плато, как превосходного люфт-курорта, настолько в настоящее время сознано, что Управление Боржомским именем проектирует по окраинам её устройство многочисленных, вполне комфортабельных дач, гостиницы и проч., оставляя в неприкосновенности средину плато, занятую хвойным парком. В настоящее время идут уже работы по проведению сюда, водопроводом, родниковой воды из верховьев р. Боржомки; задумано сооружение механических подъёмников из минерального парка на плато; планирование дорожек, устройство каменных лестниц и других сооружений для приведения этого «Нового Боржома» в полное благоустройство».<sup>24</sup>

დიდი ყურადღება ეთმობოდა პარკების მშენებლობას. 1884 წელს *ბორჯომში* იყო 4 დიდი პარკი, რამდენიმე წელიწადში მას ერთიც შეემატა – *მინერალური წყლების პარკი, ვორონცოვის პარკი, რიომერტის პარკი*, დიდი თავადის *მიხეილ ნიკოლოზის ძის* პარკი და დიდი თავადის *ნიკოლოზ მიხეილის ძის* პარკი *ლიკანში*. პარკები საჯარი იყო, მხოლოდ სასახლის კომპლექსის დათვალიერებას ესაჭიროებოდა საგანგებო ნებართვა: «Посещать парк и осматривать дворец можно только с разрешения Августейшего Владельца».<sup>25</sup>

პარკთაგან ერთ-ერთი – *ვორონცოვის პარკი* – მდებარეობდა *მინერალური წყლებ-ის პარკის* თავზე, მისგან 500 ფუტის სიმაღლეზე, მდინარეების – *ბორჯომულასა* და *გუჯარეთისწყლის* ღრმა ხეობებს შორის; ის ბუნებრივად დაბურულ წიწვოვან ტყეში გადადიოდა. *რიომერტის* პარკი, რომელიც *მდ. მტკვრის* სანაპიროს ეკვროდა დიდი თავადის *მიხეილ ნიკოლოზის ძის*

სასახლის გაღმა, რეგულარული პარკის ნიმუშს წარ- მოადგენდა. აქ  
გაშენებული იყო *კაკალი, წაბლი, ჭადარი, პირამიდული ალვისხე, ტუია,*

---

23 Список владельцам земельных участков в м. Боржоме, Тифлисской губернии, отведенных разным лицам с соизволения Его Императорского Высочества Великого Князя Михаила Николаевича после Высочайшего пожалования этого имени в собственность его Высочества. (საქ. ცენტრ. საისტ. არქივი. ფ.353, აღწ.1, საქმე 20).

24 Коншин А. პ. ციტი. ც.11.

25 Боржом. Справочная книжка для врачей и больных. Тифлис, 1902, с. 37. .

აგრეთვე *ცაცხვი, არყისხე, მუხა და ნეკერჩხალი*. პარკში აგებული იყო გუთური

სტილის «Кавалерский корпус».

*ლიკანის* კომპლექსი – პარკი და სასახლე – ბორჯომის მშენებლებს წარმოადგენს. სასახლე *რენესანსის* სტილში პეტერბურგელი არქიტექტორის, *ბენუას* ცნობილი ფრან-გულ-რუსული ოჯახის წარმომადგენლის *ლ.ნ. ბენუას* პროექტით, 1895 წელს ააშენა *ტფილისში* მოღვაწე ცნობილმა არქიტექტორმა *ლევოპოლდ ბილფილდმა* (იხ. ილ. 4). სასახლის ბელვედერი და კარნიზები მორთულია *აპოლონ ბელვედერელისა* და რამდენიმე *ვენერას* ქანდაკებებით. პარკი ლანდშაფტურად არის გადაწყვეტილი; მას ამშვენებდა ხელოვნური ტბორი წყლის ფრინველთა იშვიათი ჯიშებით (იხ. ილ. 5). პარკის მცირე არქიტექტურული ფორმები და ელექტროგანათების არმატურა იმდროინდელი გამოყენებითი ხელოვნების საუკეთესო მაგალითებს წარმოადგენდა (იხ. ილ. 6).

*ბორჯომში* არსებული მეორე სასახლე – დიდი მთავრის *მიხეილ ნიკოლოზის ძისა*

- გადაწყვეტილი იყო მავრულ არქიტექტურულ სტილში (იხ. ილ. 7). სასახლე ხისა იყო და ის ხანძარს შეეწირა.

*მინერალური წყლების პარკში* და მის ზემოთ, *მდ. ბორჯომულას ხეობაში*, სასეირ-ნო ბილიკის გაყოლებით, მოწყობილი იყო რამდენიმე ხიდი; თავის დროზე შემოთავაზებული იყო მათი არაოფიციალური დასახლებები: პირველი ხიდი – *ამიროვის* სახელო-ბისა, მეორე – *ანდრეევსკის*, მესამე – *იოანისიანისა*, მეოთხე – *ვიხოდცევის*, მეხუთე

- *სტრუვეს*, მეექვსე (ხისა) *სადგერის*, მეშვიდე – „*კუზიანი*“. აქვე, პარკში, არსებულ ჩანჩქერს *მოლდენგაუერის* ჩანჩქერი ეწოდა.<sup>26</sup>

*კავკასიის* ხალხთა კულტურების დიდი მოამაგე, *ტფილისში* „კავკასიის მუზეუმის“ დამაარსებელი და დირექტორი *გუსტავ რადდე* (1831-1903 წ.წ.), მისი ანდერძის თანახმად, დაკრძალულ იქნა *ბორჯომში*, *ლიკანის* მამულის სიახლოვეს. უკვე ჩვენს დროს ის გადასვენებულ იქნა სამშობლოში, *გერმანიაში*.

რუსეთის იმპერიის 1917 წელს დამხობის შემდეგ, 1918 წლის 7 მარტს, *ამიერკავკასიის სეიმმა* მიიღო გადაწყვეტილება დიდი მთავრის – *ნიკოლოზ რომანოვის ბორჯომის მამულის* კონფისკაციის შესახებ.

*საქართველოს* დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1918 წელს, *ბორჯომი* ქალაქად გამოცხადდა და აქ ორი ორგანო ჩამოყალიბდა: ახლადშექმნილი *თვითმმართველობა*, ანუ *ქალაქის საბჭო* და *ბორჯომის მამულების სამმართველო*. *მამულის სამმართველოს* ხელში იყო ქალაქის ქუჩები, ბაზრები, ბაღები, შენობები, მოედნები, სასტუმროები და სხვა. 1920 წელს პირველად შედგა ქალაქის ბიუჯეტი (ხარჯთაღრიცხვა); მისი საშემოსავლო და გასაღების ნაწილები ტოლი იყო და თითოეული 4.857.926 მანეთს უდრიდა (შედარებისთვის: 1920 წლის ნოემბერში ინგლისური გირვანქა სტერლინგის ღირებულება ნაციონალურ ვალუტაში (ბონებში) 22.000 მანეთს შეადგენდა).

*თვითმმართველობის ორგანო* 10 საშტატო ერთეულისგან შედგებოდა – ქალაქის თავი, გამგეობის ორი წევრი, საქმის მწარმოებელი, რეგისტრატორ–არქივარიუსი, ბუღალტერი, ბუღალტრის თანაშემწე, „მანქანაზე მომუშავე“, სამეურნეო ნაწილის გამგე და დარაჯი.

დამოკიდებულება ქალაქის ხელისუფლების ამ ორ შტოს შორის მეტად დაძაბული

იყო. *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის* მთავრობის 1919 წლის 18 ივლისის დეკრეტით ქალაქების თვითმმართველობებს მიენიჭა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ საგაჭრო და სამრეწველო ობიექტების ერთდროული სანიტარული გადასახადით და-ბეგვრის უფლება, გადასახადის ოდენობა საბჭოს უნდა დაედგინა. ამ ნორმატიული აქტის საფუძველზე *ბორჯომის მამულის სამმართველო* დაიბეგრა 800.000 მანეთით, მა-გრამ ამ თანხის ამოღება ვერ მოხერხდა. *ქ. ბორჯომის თვითმმართველობა* ცდილობდა თავისი პოზიციების განმტკიცებას. 1920 წლის 10 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე ქალაქის თავის მიერ გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „თუ რესპუბლიკა ადგილობრივ თვითმმართველობას არ ენდობა, მაშინ მისი საქმე რიგზე ვერ წავა, რადგან ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეუძლია არსებობა, როგორც ადგილობრივ ძირი-

თად მმართველ და თვითმმართველ ერთეულთა ზედნაშენს“.<sup>27</sup>

*საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის* მთავრობამ, ხანმოკლე არსებობის მიუხედავად, მიიღო მთელი რიგი საკანონმდებლო აქტებისა, რომლებიც, ამა თუ იმ ფორმით, ეხებოდა კურორტ *ბორჯომს*.

1918 წლის 23 აგვისტოს, *საქართველოს პარლამენტმა* განიხილა *ბორჯომის* უკვე სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული მამულის მდგომარეობის, მინერალური წყლების ექსპორტის შესაძლებლობისა და *ბორჯომის*, როგორც კურორტის პერსპექტიული განვითარების საკითხი.

1918 წლის 29 ნოემბერს მიღებულ იქნა კანონი „სამკურნალო მადნეულ აბანოებისა, წყლებისა და ტალახების სახელმწიფო კუთვნილებად გამოცხადებისა“. კანონის პირველ მუხლში ნათქვამი იყო: „ყველა საზოგადოებრივი მნიშვნელობის სამკურნალო, მადნეული აბანოები, წყაროები, ტალახები და მათ გარშემო მდებარე კურორტის მოსაწყობად საჭირო ადგილები შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას“. მიწათმოქმედების მინისტრს ვვალეობდა: „<...> განსაზღვრა იმ სასყიდლისა, რომელიც უნდა მიეცეს აბანოების, ტალახებისა და მის გარშემო მდებარე ადგილების პატრონებს შენობების, ადგილებისა და მათ მიერ გაკეთებული მოწყობილობის საფასურად, როგორც ქალაქად, ისე სოფლად, მოქმედი ნორმების მიუხედავად“ (მ. 3, პ. ბ.).<sup>28</sup>

1919 წლის 3 იანვრის კანონი „სამეფო გვარეულობის წევრთა ქონების კონფისკაციისა“ ადგენდა: „1. საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მდებარე ყოველი ადგილ-მა-მული, რომელიც ეკუთვნოდა სამეფო გვარეულობის წევრთ, როგორც დაბა-ქალაქებში, აგრეთვე მათ გარეშე, ყოველ გვარი შენობა და სამეფო გვარეულობის წევრთა ყოველი მოძრავი ქონებით, გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონებად“.<sup>29</sup>

ამ კანონს მოჰყვა 1919 წლის 28 იანვარს გამოცემული ორი კანონი, რომლებიც ადგენდა აგრარული რეფორმის პრინციპებს. მათ შორის ერთი – „სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდიდან მცხოვრებთათვის მამულის კერძო

საკუთრებად მიცემისა“ – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას საკუთრებად აძლევდა „<...> იმ უმიწაწყო და მცირედი მიწის მქონე სოფლებით, რომელთა არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს სასოფლო-სამეურნეო შრომა“ (მ. 3). ამასთან, გლეხებს შორის არ ნაწილდებოდა ის

27 ბორჯომის მუზეუმის საარქივო ფონდი, დოკუმენტი № 930.

28 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918–1921. თბ., „ივერთა მხარე“, 1990, გვ. 111.

29 იქვე, გვ. 201.

მიწები, „<...> რომელიც მიწათმოქმედების მინისტრის განკარგულებით გადასახლებისა და დასახლებისათვის დანიშნულ იქნება“ (მ. 2).<sup>30</sup>

აგრარული რეფორმის ზოგიერთ მხარეს აზუსტებდა იმავე დღით დათარიღებული კანონი „ყოფილ სანადელო, სახაზინო და სხვა მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადებისა“.<sup>31</sup>

აგრარულ რეფორმას მოჰყვა წიაღისეულის ნაციონალიზაცია. 1920 წლის 15 ივლისის კანონი „მადნეულობის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებისა“ ადგენდა: „1. ყველა მიწის გული და მადნეულობა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გარდა ჩვეულებრივი თიხისა, ქვიშისა, ხრეშისა და უბრალო სამშენებლო ქვისა, გამოცხადებული იქნეს სახელმწიფო საკუთრებად 1917 წ. დეკემბრის 16-დან“. შენიშვნის სახით დაზუსტებული იყო, რომ ეს მუხლი არ შეეხება 1920 წლის 1 ოქტომბრამდე ამოღებულ მადანს“.<sup>32</sup>

საბჭოთა ხელისუფლება *ქ. ბორჯომში* 1921 წლის 7 მარტს დამყარდა. *საქართველოს ცაკის* და *სახკომსაბჭოს* 1923 წლის 3 თებერვლის დეკრეტით კურორტები დაიყო სახელმწიფო, ადგილობრივ და საზოგადოებრივი მნიშვნელობის კურორტებად. სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტის სტატუსი ენიჭებოდა ისეთ კურორტებს, რომლებსაც გააჩნდა მეტ-ნაკლებად მოწყობილი საინჟინრო ინფრასტრუქტურა და ემსახურებოდნენ დამსვენებლებს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ასეთ კურორტებად მიჩნეულ იქნენ: *ბორჯომი, აბასთუმანი, წაღვერი, პატარა-ცემი, ბაკურიანი, ციხისჯვარი, ახალდაბა, წყალტუბო, ახტალა, ბახმარო, ქობულეთი, ციხისძირი, მწვანე კონცხი* და *ბათუმის ზღვის სანაპირო*.

სამკურნალო თვისებების მიხედვით, *საქართველოს* კურორტები იყოფოდა სამ მთავარ ტიპად: კლიმატურ, ბალნეოთერაპიულ და ტალახ-სამკურნალოდ. პირველ ტიპს მიეკუთვნებოდა *აბასთუმანი, წაღვერი, პატარა-ცემი, ბაკურიანი, ბახმარო* და *ზღვის კურორტები*; მეორეს – *ბორჯომი, ციხისჯვარი* და *წყალტუბო*.<sup>33</sup>

1924 წლამდე *საქართველოს* კურორტები თვითდაფინანსების პრინციპით ხელმძღვანელობდნენ, რაც არარენტაბელური აღმოჩნდა. 1926-1927 წ.წ. რესპუბლიკის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო *ბორჯომის* კეთილმოწყობის სამუშაოები, სახელდობრ: *ეკატერინეს წყაროსთან* ქვის გალერიის აშენება, ახალი წყალსადენის გაყვანა, ჰიდროელექტროსადგურის გაფართოება, *მდ. ბორჯომულას* სანაპიროების გამაგრება, სააბაზანო შენობის აგება, 100 ნომრიანი სასტუმროს აშენება რესტორნით და სხვა.

1928 წელს *საბჭოთა საქართველოს* მთავრობამ განიხილა საკითხი კურორტ *ბორჯომის* შემდგომი განვითარების შესახებ. დაიწყო *ბორჯომის* გაფართოების საბჭოთა პერიოდი.

1980 წლისათვის *ბორჯომის* ჯგუფის კურორტებზე განლაგებული იყო 15 სანატორიუმი, პანსიონატი, დასასვენებელი სახლი და სასტუმრო; მათი ჯამური სიმძლავრე 4.195 ადგილი იყო. იმავე წელს დამსვენებელთა რიცხვმა

წელიწადში 80 ათასს მიაღწია.

30 იქვე გვ. 217.

31 იქვე გვ. 222.

32 იქვე გვ. 407.

33 საქართველოს კურორტების ცნობარი. საქ. კურ. მო. სამ. გამ., ტფ., 1926.

### 3. ქ. ბორჯომის ტოპონიმია

ნიშანდობლივია, რომ არც „აღწერაში“, არც ატლასში დღევანდელი *ბორჯომის* მიდამოებში არ ფიგურირებს ტოპონიმი „*ბორჯომი*“. სამაგიეროდ, ეს ტოპონიმი გვხვდება *სამცხე-ჯავახეთის*, კერძოდ, ქ. *ახალციხის* მიდამოების აღწერისას: „ხოლო ამ ახალციხის წყალს, მტკუარს ზეით, მორთვის ო ლ დ ა მ ი ს ხ ე ვ ი მარდაებთან. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის სამხრიდამ ჩრდილოთ. ამ ხევს ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბ ო რ ჯ ო მ ი ს ხ ე ვ ი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. აქა არს ა ხ ა ლ ც ი ხ ე ქ ა ლ ა ქ ი, ფერსათის მთის კერძოდ ჩამოსულს კლდესა ზედა“.<sup>34</sup>

*ბორჯომის* ტოპონიმთან დაკავშირებული სამეცნიერო თუ პუბლიცისტური პო- ლემიკა *საქართველოში* კარგა ხანია დაწყებულია და დღესაც გრძელდება. ამ კამათის ერთ-ერთ ნიშანსვეტად შეიძლება ჩაითვალოს გამოჩენილი ისტორიკოსის *სერგი ჯიქიას* საგაზეთო პუბლიკაცია გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1961 წელს.<sup>35</sup> *ს. ჯიქია* ამტკიცებს, რომ ტოპონიმი „ბორჯომი“ უკავშირდება *საქართველოში რუსეთის* ხელისუფლების დამკვიდრების პერიოდს და ამისათვის მის მიერ გამოსაცემად მომზადებულ „გურ- ჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“<sup>36</sup> იმოწმებს, რომელშიც *ბორჯომი* მოხსენიებული არ არის, ხოლო ამჟამინდელი *ბორჯომის* მიდამოები წოდებულია „პეტრეს ლივად“. ეს ადმინისტრაციული ერთეული, თავის მხრივ, *პეტრესა* და *ქაშვეთის* რაიონებად იყოფო- და, მათში შემავალი 49 სოფლით.

*ს. ჯიქიას* აზრით, პოეტ-აკადემიკოს *გ. ლეონიძის* მიერ *მოსკოვის* სამხედრო-საინ- ტორიო არქივში მოძიებული ცნობა იმის თაობაზე, რომ *საქართველოში* განლაგებული რუსის ჯარის მიმღწერაში „ბორჯომი“ მოიხსენიება 1785 წლით დათარიღებულ საბუთ- ში, მდგომარეობას არსებითად არ ცვლის.

უფრო ადრე, *დიმიტრი ბაქრაძე* მიიხნევა, რომ ტოპონიმი „ბორჯომი“ *საქართვე- ლოში* რუსების შემოსვლამდე არ არსებობდა: «Слово боржомское ущелье происхождения недавнего: оно вошло в употребление лишь при русском правительстве».<sup>37</sup>

ცნობილი წერილობითი წყაროებიდან ყველაზე ძველი საბუთი, რომელშიც „ბორ- ჯომის ხეობა“ მოხსენიებული, 1819 წელს *თავად ავალიშვილების* მიერ *საქართველოს* მთავარმართებლისადმი მიმართული პეტიციაა: „უამთა ვითარებისაგან ჩვენი საუკეთე- სო მამული ბორჯომის ხეობა მტერთაგან აოხრებულიყო და ამა მიზეზით ჩვენის ყმებით ვცხოვრობთ აქამდის ბრეთსა“. პეტიციაში *ავალიშვილები* ითხოვენ ნასოფლარ *სადგერ- ში* თავისი ყმებითურთ საცხოვრებლად გადასვლის უფლებას.<sup>38</sup>

„ბორჯომის ხეობა“, როგორც ახლადშექმნილი ტოპონიმი, ფიგურირებს *ავალიშ- ვილების* მეორე მოხსენებით ბარათში კავკასიის მთავარმართებელ

თავად *მ.ს. ვორონ-ცოვისადმი*: „ძველთაგან ჰქონდათ ნაბოძები სანუქაფოდ ერთგულებითისი ნამსახურე-

34 ბატონი შვილი ვახუშტი. პ.ციტ., გვ. 663.

35 ბორჯომის სახელწოდებისათვის. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1961, 7 სექტემბერი, № 105 (7019).

36 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. III, თბ., 1962, გვ. 469–495.

37 Бакрадзе Д. Кавказ в древних памятниках христианства. [ბ.რ.მ.]с.126.

38 გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. ტ. III, თბ., 1962, გვ. 471.

ბისათვის წინაპართა პაპათა და მამათა ჩვენთა, თავადთ ავალოვთ, საზოგადოდ მტკვრის ხეობა, რომელსაც აწ უწოდებენ ბორჯომის უჩელიედ“.<sup>39</sup>

ცნობილია, რომ *რუსეთის* სამხედრო ხელისუფლებამ, *ლეკთა* და *თურქთა* მარ- ბიელი რაზმებისაგან *შიდა ქართლის* დასაცავად *მანგლისიდან სურამამდე* შექმნა კორ- დონის ხაზი. ამ ხაზის ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი იყო სოფ. *ქვიშეთის* მახლობლად, *მდ. მტკვრის* „კლდეკარში“ აგებული თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც „ბორჯომის ბლოკაუზად“ იყო ცნობილი. მხარეთმცოდნე *გ. ზედგენიძე* ვარაუდობს, რომ „<...> 1724–1771 წლებს შორის ვახუშტი ბაგრატიონის რუსეთში გადასახლების შემდეგ და აკად. *ი.ა. გიულდენშტედტის* საქართველოში მოგზაურობის წინ, *ახალციხის* მახლო- ბლად მდებარე *ჭაჭარაქის ბორჯომიდან* მოხდა მოსახლეობის გადმოსვლა და დასახლე- ბა ტაშისკართან, იქიდან გადმოსულმა მოსახლეობამ თავისი მშობლიური სოფლის სახე- ლი შეარქვა ახლადდასახლებულ პუნქტს“. შემდეგ იგი წერს: „<...> მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში (1771 წელზე მაინც უფრო ადრე) დღევანდელი ტაშისკარის მიდა- მოებში არსებობს დასახლებული პუნქტი ბორჯომი, რის გამოც საყარაულოს პუნქტიც (საფიქრებელია ტაშისკარის კოშკი) ატარებდა ამ სახელს. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ აღნიშნული საყარაულო პუნქტი „ბორჯომის ბლოკაუზის“ სახელით განაგრძობდა არსებობას. რუსებმა, რომელთათვისაც უცხო იყო ამ ხეობისა და მისი პუნქტების სახელწოდებანი, ჯერ ხეობას შეარქვეს ბორჯომის ხეობა, ხოლო შემდეგ, როდესაც მიწერაღურ წყალს მიაგნეს, მასზეც ეს სახელი გადაიტანეს, საიდანაც უფრო გვიან დასახლებულ პუნქტზეც გავრცელდა სახელწოდება „ბორჯომი“.<sup>40</sup>

ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ტოპონიმი „ბორჯომი“ რთული კომპოზიტიური წარმონაქმნია და უნდა მოდიოდეს „ბორცვის ჯვარიდან“.<sup>41</sup>

დღევანდელ *ბორჯომს* უკავია რამდენიმე ნასოფლარის ტერიტორია. ესენია:

*ჭალა* (ლიკანის ქვემოთ, *მტკვრის* მარცხენა ნაპირზე, *რომანოვების* ყოფილი სასახლის მიდამოებში);

*ნუა* (*ბორჯომის* ნაწილი *მტკვრის* მარცხენა ნაპირზე, ქალაქის საავადმყოფო- დან ხიდამდე);

„*ეშმაკთ-უბანი*“ (ძველი სასახლისა და ახალშენის მიდამოები);

*ფაფა* („ახალი უბანი“);

*ნუა* მარჯვენა ნაპირზე (სასტუმრო „ბორჯომის“ მიდამო ძველი ნაეკლე-

სიარით).

*ბორჯომის* ურბონიმიამ, ბუნებრივია, ასახა ის პოლიტიკური ქარტეხილები, რომლე- ბიც მთელს ქვეყანას დაატყდა თავს XX საუკუნეში. ამის მაგალითია, თუნდაც *ბორჯომის* პარკებისა და სასახლეების სახელწოდებების ცვლილება ბოლშევიკების ხელისუ- ფლებაში მოსვლის შემდეგ. *რიომერტის პარკს ოქტომბრის რევოლუციის პარკი* დაერ- ქვა, *ვორონცოვის პარკს - 26 ბაქოელი კომისრის პარკი, მიხეილ რომანოვის* სასახლეს

- *ფილიპე მახარაძის სახელობის სასახლე*, ხოლო *დიდი მთავრის მიხეილის* სასახლეს

*ლიკანში ეწოდა ლენინის სახელობის დასასვენებელი სახლი.*

უფრო ზუსტ წარმოდგენას *ბორჯომის* ურბონიმიკის სახეცვლილებებზე იძლევა და- ნართი 4.

---

39 ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საარქივო ფონდი, საქმე 2992, გვ. 16.

40 ზედგინიძე გ. ბორჯომის სახელწოდებისათვის. „ბორჯომი“. 1967 წ. 10 იანვარი, № 5 (3664), გვ.3.

41 მელიქიძე ს. ბორჯომი (ეტიმოლოგიური ცდა, ლოკალიზაცია). კრ-ში: „მესხეთი“, ტ.III, თსუ-ს გამ., თბ. – ახალციხე, 1999.

#### 4. გეოლოგიური პირობები და ქალაქგეგმარებითი შეზღუდვები.

ქ. *ბორჯომის* რელიეფი დასერილია მდ. *მტკვრისა* და მისი შენაკადების – *ბორ-ჯომულას*, *გუჯარეთისწყლისა* და *ლიკანისხევის* ხეობებით. ხეობათა ფერდობები, ძირითადად, წარმოდგენილია ეოცენური დანალექებით, ზედა ნაწილები კი ვულკანური წარმოშობის ანდეზიტ-ბაზალტებით.

გეომორფოდინამიკური პროცესების შედეგად ქ. *ბორჯომის* ტერიტორიაზე წარმოქმნილია ტერასები: მარჯვენა ნაპირზე სამი ტერასაა – მდინარის დონიდან 2,5–6,0 მეტრ სიმაღლეზე, მეორე ტერასა – 25–50 მეტრ სიმაღლეზე და მესამე ტერასა სიმაღლით 120–150 მეტრი („ბორჯომის ზეგანი“); ხოლო მარცხენა ნაპირზე ორი ტერასა – პირველი და მეორე ტერასები შექმნილია ალუვიური დანალექებით.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად დადგენილია, რომ ქ. *ბორჯომის* ტერიტორია ვარგისია მშენებლობისათვის, რადგან აქ არ შეინიშნება მეწყრული თუ სხვა ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები. ამ მხრივ გამონაკლისია რკინიგზის სადგურის ქვემოთ მდებარე 2 კმ<sup>2</sup> ფართობის ნაკვეთი, სადაც განვითარებულია ძველი მეწყრული პროცესები.

ქ. *ბორჯომის* წყლის ბუნებრივი გამოსვლა ცნობილი იყო მხოლოდ მდ. *ბორჯომულას* შესართავთან („*ეკატერინეს*“ და „*ეგვენის*“ წყაროები); სხვაგან მათი გამოსვლა შეუმჩნეველი იყო (მდ. *მტკვრის* და *გუჯარეთის-წყლის* ნაპირები). დღეს მოქმედი სხვა წყაროები მიღებულ იქნა დაბურღვის შედეგად (სოფ. *ლიკანთან*, *ვაშლოვან-ყვიბისის* უბანზე, *ლიკანში*). დაკვირვების შედეგად დადგენილია, რომ ადგილი აქვს მინერალური წყლის დებეტისა და წნევის შემცირებას. 1966 წელს, რიგი ღონისძიებების ჩატარების შედეგად, შენარჩუნებულ იქნა წყლის მუდმივი წნევა და ხარჯი 275.000 ლ. ოდენობით.

1954 წელს *საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს* მიერ დამტკიცდა *ბორჯომის* წყლების სამთო-სანიტარული დაცვის ზონები; ამ ზონების ფარგლებში მოქმედებდა *სსრკ მინისტრთა საბჭოს* მიერ დადგენილი დაცვის ინსტრუქციები. გამოყოფილი იყო სამი ზონა. ქ. *ბორჯომის* მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პოზიციებიდან არსებითია I ზონა, რომლითაც იფარგლებოდა ის ტერიტორიები, სადაც არსებობს მინერალური წყლის ბუნებრივი ან ხელოვნური ამოსვლის ადგილები. ამ ფარგლებში მოქმედი იყო *მინერალური წყლების პარკი*, *თორის პლატოს* ნაწილი, ს. *ფაფას* ჩრდილოეთი, მდინარისპირა ნაწილი და სხვა. ამ ადგილებში მინერალური წყლები არსებობს მიწის ზედაპირიდან ნაკლებ სიღრმეზე და მათი საბადოების რეჟიმის დარღვევა ადვილია. ზემოხსენებული ინსტრუქციის თანახმად, I ზონაში აკრძალული იყო ისეთი მშენებლობები, რომლებსაც არა აქვს უშუალო მიმართება მინერალური წყლის ექსპლუატაციასთან. ეს შეზღუდვა განსაკუთრებით ეხებოდა ს. *ფაფის*

უბანს, სადაც, მდ. *მტკვრის* დინების და- რეგულირების შემდეგ უნდა გაშენებულიყო მინერალური წყლების ახალი პარკი.

გასატარებელ ღონისძიებებს შორის აღსანიშნავი იყო მდ. *მტკვრის* მარცხენა ნა- პირზე არსებული სასაფლაოს ლიკვიდაცია, I ზონაში მდებარე შენობების აღება, კანა-

ლიზაციის მოწყობა, ზედაპირული წყლების გადაყვანა, მდ. მტკვრის

ნაპირგამაგრება. დღევანდელ პირობებში, ქ. **ბორჯომის**, როგორც კურორტის, სანიტარული დაცვის

ზონების დადგენას განსაზღვრავს **საქართველოს** კანონმდებლობა, სახელდობრ, „საქართველოს კონსტიტუცია“, **საქართველოს** კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“, **საქართველოს** კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ“, სხვა საკანონმდებლო–ნორმატიული აქტები.

**საქართველოს** კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის შესახებ“ ადგენს მთელ რიგ ქალაქმთავრომირებელ პირობებს. კანონის მ. 4. 4. მოითხოვს: „სანიტარული დაცვის ზონები დგინდება ყველა კურორტისა და საკურორტო ადგილისათვის“. ამასთან, „<...> დგინდება სანიტარული დაცვის სამი ზონა: პირველი – მკაცრი რეჟიმის, მეორე – შეზღუდული რეჟიმის და მესამე – სამეთვალყურეო ზონა“ (მ. 6.).

**მკაცრი რეჟიმის ზონა** მოიცავს კურორტის იმ ტერიტორიას, სადაც განლაგებულია მინერალური წყლების ბუნებრივი და ხელოვნური გამოსასვლელები (მ. 7.1.). ამ ზონაში აკრძალულია სამუშაოები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება მინერალური წყლების გამოყენებას, საწარმოების მშენებლობა, სამთო და მიწის სამუშაოები, ფიზიკური პირების მუდმივი ან დროებითი ცხოვრება (მ. 7.2.).

**შეზღუდული რეჟიმის ზონა** მოიცავს ტერიტორიას, სადაც ხდება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ჩამოდინება მინერალური წყლების საბადოებისკენ, აგრეთვე კურორტის იმ ტერიტორიას, სადაც გაშენებულია საკურორტო ობიექტები, კურორტის ინფრასტრუქტურის ნაგებობები, ბაღ-პარკები და კურორტის მიმდებარე ტყე-პარკები ან დაგეგმილია მათი გაშენება (მ. 8.1.). ამ ზონაში აკრძალულია იმ ობიექტების მშენებლობა და/ან გამოყენება, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არ არის კურორტის განვითარებასთან, სახელდობრ, საწარმოების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ახალი სასაფლაოების მოწყობა და/ან არსებულის გაფართოება, წყალსადენ-კანალიზაციის სისტემის გარეშე ახალი საბინაო მშენებლობა და ა.შ. (მ. 8.2.).

**პირველი ზონის** საზღვრები დგინდება მინერალური წყლების გამოსასვლელებისა და ჭაბურღილებისათვის – მათი ბუნებრივი დაცვის ხარისხის გათვალისწინებით, არანაკლებ 15 მეტრისა ჭაბურღილისა და გამოსასვლელის კონტურიდან (მ. 10.ა.).

**მეორე ზონის** საზღვრები დგინდება მინერალური წყლების საბადოებისათვის – ტერიტორიის გეოსტრუქტურული და ჰიდროგეოლოგიურ თავისებურებათა გათვალისწინებით (მ. 11. 1.ა.).

**მესამე ზონის** საზღვრები დამოკიდებულია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების ფორმირების გარე საზღვარზე (მ. 12.1.).

სანიტარული დაცვის ზონების პროექტს ადგენს **საქართველოს**

აღმასრულებელ ხელისუფლებაში ტურიზმის განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანო – *საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროებთან* შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარედგინება *საქართველოს* პრეზიდენტს. სანიტარული დაცვის დამტკიცებული ზონების პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზონების საზღვრები; ისინი, შესაბამის რეჟიმებთან ერთად, საფუძვლად ედება ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციას (მ. 14. 1. და 14. 4.).

ქალაქმშენებლობითი შეზღუდვების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს წყალდაცვით ზოლს. წყალდაცვითი ღონისძიებები ეფუძნება *საქართველოს* კანონს

„წყლის შესახებ“; მათი კონკრეტული ფორმები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით – „დეზულებით წყალდაცვითი ზოლის შესახებ“. მართალია, ეს დებულება ადგენს კონკრეტულ კორელაციას ამა თუ იმ მდინარისა და შესაბამისი წყალდაცვითი ზოლის სიგანეს შორის, მაგრამ დასახლებებში ზედაპირული წყლის ობიექტების წყალდაცვითი ზოლის დადგენა ხორციელდება „გენერალური გეგმის შესაბამისად“ (დეზულების მ. 17.).

ქ. *ბორჯომის* გენერალური გეგმისათვის არსებითია, რომ წყალდაცვითი ზოლის ფარგლებში, სხვა პოზიციებთან ერთად, აკრძალულია მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა (მ. 8.1.).

როგორც ცნობილია მდ. *მტკვარი* და მდ. *ბორჯომულა* ქ. *ბორჯომის* საზღვრებში გამოირჩევა პერიოდული წყალდიდობებით. კატასტროფული წყალდიდობები მოხდა, მაგალითად, 1921 წლის 15–19 ივნისს და 27 ოქტომბერს (წაილეკა სანაპიროები, განადგურდა მინერალური წყლების პარკი); განსაკუთრებული მასშტაბით გამოირჩევა 1968 წლის აპრილის წყალდიდობა, რომელმაც მოშალა რკინიგზის მონაკვეთი, წაიღო ხიდები, დაანგრია ნაპირსამაგრი ნაგებობები. ამიტომაც, ქ. *ბორჯომისთვის* დიდი მნიშვნელობა აქვს მდინარეების ნაპირების საინჟინრო დაცვას.

წყალდიდობის შემდეგ, იმავე 1968 წელს შედგა ქ. *ბორჯომის* საზღვრებში მდ. *მტკვრის* ნაპირსამაგრი კედლების სქემა – მარცხენა ნაპირზე 10 კმ, ხოლო მარჯვენა ნაპირზე 9 კმ-ს სიგრძით. ეს სქემა შევიდა ქ. *ბორჯომის* 1984 წლის გენერალური გეგმის მასალებში.

დღევანდელ პირობებში, მდინარეების საინჟინრო რეგულირების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს *საქართველოს* კანონი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“. კანონი აყალიბებს ძირითად ცნებებს:

„მდინარის სანაპირო ზონა – მდინარის კალაპოტი და მისი მიმდებარე ჭალა, რომლის გეოლოგიური სტრუქტურის ჩამოყალიბებას მდინარე განაპირობებს“ (მ. 2. თ.);

„მკაცრი ზედამხედველობის ზოლი: <...> მდინარის ნაპირისათვის – სანაპირო ზონის ნაწილი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება შესაბამისი გენერალური სქემით, სანაპიროს რელიეფის პირობებისა და მდინარის მაქსიმალური ხარჯის გათვალისწინებით“ (მ. 2. კ.);

„მუდმივი მეთვალყურეობის უბანი – სანაპირო ზონის ის ნაწილი, რომელიც მოქცეულია მკაცრი ზედამხედველობის ზოლის სახმელეთო საზღვარსა და

<...> მდინარის დონის პროგნოზირებული აწევით გამოწვეული ხმელეთზე ზემოქმედების არეალის გარე საზღვარს შორის“ (მ2. მ).

კანონის თანახმად, მდინარეთა სანაპირო ზონების საინჟინრო დაცვას ექვემდებარება მკაცრი ზედამხედველობის ზოლი და მუდმივი მეთვალყურეობის უბნები (მ. 5. 2). საინჟინრო დაცვას დაქვემდებარებული ტერიტორიების საზღვრები დგინდება ნა-

პირთა დაცვის გენერალური სქემით; მას ადგენს „საქნაპირდაცვა“ და შესათანხმებლად წარუდგენს **საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს** (მ.5. პ.პ. 3 და 4). ნიშანდობლივია, რომ მკაცრი ზედამხედველობის ზოლში მოქცეული მიწის ნაკვეთების

„გაცემა და გასხვისება კერძო საკუთრებაში აკრძალულია, გარდა საქართველოს კანონ-მდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა“ (მ. ნ.) კანონის მ. 9 ადგენს სანაპირო

ზონით სარგებლობის წესებს.

## 5. ქ. ბორჯომის საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა

*ბორჯომის რაიონის* პოტენციურ შესაძლებლობებზე სპორტულ-რეკრეაციულ სფეროში დამაჯერებლად მეტყველებს ის ოლიმპიური განაცხადი, რომელიც 2006 წლის იანვარში, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების საგანაცხადო კომიტეტის მიერ გაიგზავნა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ შეხვდა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების უფლება, განაცხადმა მოახდინა ქვეყნისა და რაიონის რესურსების გამოვლენა და ხელი შეუწყო *ბორჯომის* „ბრენდის“ გავრცელებას მსოფლიოში.

ნიშანდობლივია, რომ განაცხადში, ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს შორის, ნათქვამი იყო: „ინვესტიციები ჩაიდება რკინიგზაში, გზების, აეროპორტის, საცხოვრებლის და სხვა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურაში, მიუხედავად იმისა, ჩატარდება თუ არა ოლიმპიური თამაშები ბორჯომში“.<sup>42</sup> ზოგიერთი ამ პროგრამათაგანი შესრულებულია ან დაწყებულია.

მნიშვნელოვანია ის ვალდებულებები თუ წინადადებები, რომლებიც *ბორჯომის რაიონის* ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა თუ განვითარებას ეხებოდა. სახელდობრ, მოიაზრებოდა არსებული საბაგირო გზის (*ბორჯომი – პლატო*) გაგრძელება *ბაკურიანამდე* (15 კმ) და სხვა.<sup>43</sup> დაგეგმილ ღონისძიებათაგან უკვე განხორციელდა *ბორჯომ-პარკის* რკინიგზის სადგურის რეკონსტრუქცია.

### 5.1. საავტომობილო გზები

*საქართველოში* მოქმედი კლასიფიკაციით, *ბორჯომის* რაიონის საავტომობილო გზები, სადღეისოდ, სხვადასხვა კატეგორიას განეკუთვნება. *საერთაშორისო მნიშვნელობის გზის* კატეგორია აქვს გზას „*ხაშური-ვალე*“ (*თურქეთის* საზღვარი); კოდი ს-8. გზის სიგრძეა 103 კმ; ის იმყოფება „*საქავტოგზის*“ ბალანსზე. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაა „*ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქი*“ (ყოფილი «Ново-Ахалкалакская дорога»); კოდი შ-20. გზის სიგრძეა 82,8 კმ, აქედან 80 კმ იმყოფება „*საქავტოგზის*“ ბალანსზე, ხოლო 2,8 კმ – *ქ. ბორჯომის* ბალანსზე. რაიონის დანარჩენი გზები ადგილობრივი მნიშვნელობისაა.

გამტარუნარიანობის თვალსაზრისით პრობლემურია „*ბორჯომ-ბაკურიანი-ახალქალაქის*“ გზის ის მონაკვეთი, რომელიც *ქ. ბორჯომის* ადმინისტრაციულ საზღვრებშია მოქცეული. საქმე ისაა, რომ *დ. ბაკურიანის* საერთაშორისო მნიშვნელობის სამთო-სათხილამურო ცენტრად გადაქცევის ერთ-ერთი წინაპირობაა სათანადო სატრანსპორტო კავშირების არსებობა. ამ

თვალსაზრისით, უთუოა გზის ამ მონაკვეთის რეკონსტრუქცია-გაფართოების აუცილებლობა, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას „ქ. ბორჯომის გენერალური გეგმის“ პოზიციებში. იგივე ითქმის *ქ. ბორჯომის*

---

42 ბორჯომის განაცხადი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებაზე. თბ., 2006.

43 იქვე, ცხრილი 3.

ცენტრის ამქცევ საავტომობილო გზაზე.

საგარაუდოა *თურქეთიდან* წამოსული სატრანზიტო ტვირთაკადების მოცულობის ზრდა, რაც ქალაქ *ბორჯომის* პირობებზე უარყოფითად აისახება. ამიტომაც, მსჯელო- ბას იმსახურებს *ქ. ბორჯომის* გარსშემოსავლელი საავტომობილო გზის იდეა, რომელიც, ადრე ჩამოყალიბებული მოსაზრებით, სოფ. *რველიდან, მდ. ბანისხევის ხეობის* გავლით, არსებულ გზას უერთდებოდა *ლიკანის* მიდამოებში. *თურქეთის საზღვარზე (ვალე)* გადასასვლელის გახსნის შემდეგ და *მესხეთ-ჯავახეთის* ესოდენ სასურველი სოციალურ- ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ, გაიზრდება საავტომობილო ტრანსპორტის სატრანზიტო სატვირთო ნაკადები, რაც ამ იდეას რეალურ მნიშვნელობას შესძენს. მეორეს მხრივ, გასათვალისწინებელია *ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის* რეჟიმი, რაც ართულებს საბოლოო, ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებას.

## 5.2. რკინიგზა

ჯერ კიდევ *ფოთი-თბილისი-ბაქო* რკინიგზის დაპროექტების დროს, ინჟინერმა *ბელიმ* გაითვალისწინა *თბილისი-ალექსანდროპოლი<sup>441</sup>-ყარსისა* და *ალექსანდროპოლი-ერევანი-ჯულფას* ხაზების მშენებლობა. ფინანსური სირთულეების მიუხედავად, კავკასიის სამხედრო მმართველობამ დაავალა *ამიერკავკასიის რკინიგზის საზოგადოებას* შეემუშაებინა ახალი სარკინიგზო ტრასების ვარიანტები. ერთ-ერთი ასეთი ვარიანტის თანახმად (ე.წ. „მესხეთე ვარიანტი“), რომელიც შემუშავდა 1894 წელს, *მიხაილოვო<sup>451</sup>- ბორჯომის* 27 ვერსიანი სარკინიგზო ხაზის ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებით, მონიშნული იყო ტრასა *ბორჯომი-ახალციხე-ყიზილ-ყონ (გუკასიანი)-ალექსანდროპოლი-ყარსი, ალექსანდროპოლიდან* გათვალისწინებული იყო განშტოება *ერევანსა* და *ჯულფისკენ*. საბოლოოდ, ეს ვარიანტი არ იქნა მიღებული.

გარკვეული დროის შემდეგ, 1911 წელს, კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა *ა.ნ. ვორონცოვ-დაშკოვმა რუსეთის იმპერიის გზათა მიმოსვლის სამინისტროს* წარუდგინა კოლეგიის მრჩევლის *ა.ა. გოდომსკის* თხოვნა, 351 ვერსის სიგრის *ყარსი-ბორჯომის* რკინიგზის მშენებლობის მიზნით, სააქციო საზოგადოების შექმნის თაობაზე. 1912 წელს ყველა საჭირო მასალა წარდგენილ იქნა ფინანსთა სამინისტროში. დაიწყო განხილვების პროცედურები; საბოლოოდ მიღებული იქნა დადებითი დასკვნა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ჩაშალა ეს პროექტი.

*ბორჯომ-ბაკურიანის* რკინიგზის მშენებლობა დაიწყო 1901 წელს; მისი ექსპლუატაციაში მიღება თარიღდება 1902 წლის 2 იანვრით. გზის სიგრძე შეადგენდა 37 ვერსს, აქედან 2 ვერსი ფართოლიანდაგიანი (1524 მმ), ხოლო 35 ვერსი - ვიწროლიანდაგიანი (750 მმ) იყო.

- 
- 44 *ალექსანდროვლი* - ახლანდელი *ქ. გიუმრი სომხეთის რესპუბლიკაში*.
- 45 *მიხაილოვ* - ახლანდელი *ქ. ხაშური*.

XX საუკუნის დასაწყისში *ბორჯომის* სარკინიგზო სადგურის ტვირთბრუნვა შეადგენდა (ფუტებში)<sup>46</sup>:

- 1907 წ.	- 1, 347.368;
- 1908 წ.	- 1, 388.472;
- 1909 წ.	- 1, 412.404;
- 1910 წ.	- 1, 595.292;
- 1911 წ.	- 2, 043.071.

ფართოლიანდაგიანი რკინიგზის მონაკვეთი *ბორჯომი-ვალე*, სიგრძით 59 კმ, აშენდა 1944–1947 წლებში. უფრო ადრე, 1937 წელს ელექტროფიცირებულ იქნა რკინიგზის გადასარბენი *ხაშური-ბორჯომი* (29 კმ.).

### 5.3. წყალსადენ-კანალიზაცია

XIX საუკუნის ბოლოს იწყება *ბორჯომში* წყალსადენის სისტემის ჩამოყალიბება საყოფაცხოვრებო და სამეურნეო მიზნებისათვის: «С целью ещё рельефнее выдвинуть своеобразные орографические черты этой прекрасной местности Управление Боржомским именем предпринято, с прошлого года [т.е. 1892 წლიდან – ვ.ვ.], работы по проведению проточной воды каналом из верховьев р. Боржомки в <...> Садгерское озеро. Отсюда избыток воды предполагают направить каскадами как в Боржомское ущелье, так и в долину Чёрной речки, где громадное гидравлическое давление столба воды, в 500 фут вышиною, будет утилизировано для лесопильного завода».<sup>47</sup>

*ბორჯომი* განიცდიდა სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს. იმ დროს (1895 წ.) წყლის მთავარი მომხმარებელი და წყალსადენის დამკვეთიც *ლიკანის მამული* იყო. ქალაქის წყალსადენის მოსაწყობად რამდენიმე სავაჭრო კვლევა ჩატარდა. ყველაზე საფუძვლიანად საკითხი სამხედრო ინჟინერმა კაპიტანმა *შილეიკომ* შეისწავლა. მის მიერ 1895 წელს ჩატარებული საძიებო-საპროექტო სამუშაოების შედეგები, მოცემულია ვრცელი და დეტალური ანგარიშის სახით.<sup>48</sup>

ანგარიში იწყება ამ მიმართულებით ადრე ჩატარებული საძიებო სამუშაოების დეტალური ანალიზით. სახელდობრ, 1888 წელს სამთო ინჟინერმა *კონრადიმ* შეადგინა წყალსადენის პროექტი *ბერი-წყაროს წყლის* საბადოებიდან. 1894 წელს სამთო ინჟინერმა *სავიცკიმ* შეადგინა მოკლე მოხსენება მდ. „ლიბანკადან“ წყალსადენის მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე.

კაპიტანი *შილეიკო* იწუნებს ორივე წინადადებას. პირველს იმის გამო, რომ მასში საერთოდ არ იყო მოცემული წყლის ქიმიურ-ბიოლოგიური ანალიზი, ხოლო დებეტი ფაქტობრივად დაუდგენელი იყო. აგრეთვე არ იყო მოცემული წყალსადენის ტოპოგრაფიული ტრასირება; არც წყალსადენის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა იყო დაზუსტებული. მეორე წინადადება ზედმეტად ლაკონური იყო, ყოველგვარი ტექნიკური მონაცემების გარეშე და, ამიტომაც, პრაქტიკულ ინტერესს არ წარმოადგენდა.

---

46 Кавказский Календарь на 1914 г., с. 203.

47 იქვე, გვ. 9.

48 К вопросу об устройстве водопровода в Боржоме. Предварительные изыскания, проведенные в 1895 году. Военного инженера капитана Шилейко. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი: ფ.351, აღწ.1, საქმე 207.

*შილეიკომ* შეადგინა ბორჯომის წყალმომარაგების საპროექტო დავალება, რომე- ლიც რამდენიმე პუნქტისგან შედგებოდა:

- სასურველი იყო წყაროების და არა მდინარის წყლის გამოყენება;
- სავარაუდო მოხმარების რაოდენობად დადგინდა – 70.000 ვედრო<sup>49</sup>; მათ შო- რის, 40.000 დაბა *ბორჯომში* და 30.000 ვედრა *გორონცოვის პლატოზე*, ღიად რჩებოდა ირიგაციისა და ქუჩების მორწყვის საკითხი;
- კანალიზაციის საკითხის დამუშავება ნაადრევად ჩაითვადა;
- მოთხოვნილი იყო წინასწარი საფინანსო გაანგარიშების შედგენა.

*რომანოვების* მამულის მმართველმა *არდასენოვმა* დასვა საკითხი *ცხრაწაროს წყაროების* გამოყენების თაობაზე – იქაური წყლის ხარისხის, რაოდენობის, ბუნებრი- ვი წნევის გათვალისწინებით. მაგრამ, ადგილზე შესწავლამ დაადასტურა არასაკმარისი დებეტი (40.000 ვედრო). ამიტომაც, შესწავლილი იქნა რამდენიმე პოტენციური წყარო: სოფ. *გომნასთან*, *საფიქლესთან*, *კოდიანთან* და *სადგურის* მოპირდაპირე ორი მდინარის სათავეებში, *მწვანე მონასტერთან*, *ბერი-წყაროსთან*, რკინიგზის სადგურთან (*შავწყა- ლა*).

ანგარიშში მოცემულია კაპიტან *შილეიკოს* მიერ ჩატარებული დეტალური ჰიდრო- ლოგიური კვლევები და წყალსადენის ტრასირების რეკონსტრუქცია. საბოლოოდ კეთ- დება დასკვნა *ცხრაწაროს* ვარიანტის სასარგებლოდ. ეს ვარიანტი არ განხორციელე- ბულა.

საბჭოთა პერიოდში *ქ. ბორჯომის* წყალსადენ-კანალიზაციის სისტემა მეტ- ნაკლე- ბად მოგვარებული იყო. 1987 წლისათვის *ქ. ბორჯომის* კომუნალური წყალსადენი რამ- დენიმე ნაწილისგან შედგებოდა. მათგან უძველესია *სადგურის წყალსადენი*, რომელიც ექსპლუატაციაში გაშვებულ იქნა 1930 წელს. წყალმომარაგების წყარო მდებარეობს *ქ. ბორჯომის* სამხრეთით 4,5 კმ-ში. შემკრები ჭიდან წყალი სატუმბო სადგურის მეშვე- ობით, 250 მმ მილით გადადის *სადგურის პლატოზე* მდებარე, 200 მ<sup>3</sup> მოცულობის დამწ- ნევე რეზერვუარში, საიდანაც 250–300 მმ დიამეტრის მილებით, თვითღინებით გადადის დამწნევე- მარეგულირებელ რეზერვუარებში *ბორჯომის პლატოზე*, ზღვის დონიდან 808 მ ნიშნულზე და შემდეგ ნაწილდება წყალსადენის ქსელში. ამ წყალსადენის წარმადობა 1987 წელს შეადგენდა 50 ლ/წმ.

*გუჯარეთის წყალსადენი* აშენდა 1980 წელს. წყაროდ გამოყენებულია მდ. გუჯა- რეთისწყლის ზედაპირული ჩამონადენი. სათავე ნაგებობა მდებარეობს *ქ. ბორჯომიდან* 30 კმ მანძილზე. სათავე ნაგებობებიდან წყალი თვითღინებით მიემართება დამწნევე-მა- რეგულირებელ რეზერვუარებში, რომლებიც *ბორჯომ-პლატოზეა* მოწყობილი. ამ წყალ- სადენის საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 145 ლ/წმ; მათ შორის *ქ. ბორჯომისათვის* განკუთვნილია 115 ლ/წმ, ხოლო წყალგამტარის ტრასაზე განთავსებული დასახლებე- ბისათვის – 30 ლ/წმ.

